პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 26 სექტემბერი, პარასკევი
№ 39 (2216)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

შემოქმედებითი ძიების გზით

პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 1981 წლის იანვრიდან გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ გამოიცემა გაორმაგებული მოცულობით.

ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დიდ ზრუნვას, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იჩენს რესპუბლიკის კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ეს მოვლენა ახალი შემოქმედებითი ამოცანების წინაშე აყენებს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას, სარედაქციო კოლეგიას, ავტორთა მრავალრიცხოვან კოლექტივს.

დიდი შემოქმედებითი გზა განვლო საქართველოს მწერალთა გაზეთმა. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც „ლიტერატურული საქართველო“ ერთგულად, სიყვარულით და შემოქმედებითი მგზნებარებით ემსახურება ქართულ მწერლობას. ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველი ნაბიჯებიდან მოყოლებული, იგი განუხრელად იბრძოდა ლიტერატურაში პარტიულობისა და მაღალი იდეურობისათვის, მაღალმხატვრულობისათვის, კომუნისტური იდეალების დამკვიდრებისათვის, რესპუბლიკის სულიერი ცხოვრების აღმავლობისათვის. ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა მრავალი ნაწარმოები, რომელიც შემდგომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჭეშმარიტ სიმდიდრედ იქცა, ამ გაზეთში გამოჩნდნენ ავტორები, რომელთაც შემდგომში ქართული ლიტერატურის აღმავლობის სიმძიმე იტვირთეს.

დროით განმტკიცებული ტრადიცია ლიტერატურის მაღალმხატვრულობისა და მოქალაქეობრივი პათოსისა დღემდე მოჰყვება გაზეთს, როგორც მისი შემოქმედებითი სახის მთავარი თვისება.

ახალი ნიჭის აღმოჩენა, ზრუნვა ჭეშმარიტი ტალანტისათვის, მომთხოვნელობა და სიფაქიზე შემოქმედთან ურთიერთობაში მუდამ იყო გაზეთის მთავარი პრინციპი.

დრომ, დღევანდელობამ, ახალი ამოცანები წამოჭრა გაზეთის წინაშე. გაიზარდა საქართველოს მწერალთა ორგანიზაცია, ლიტერატურაში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, განვითარდა ქართული ხელოვნების დარგები — მხატვრობა, მუსიკა, კინო, თეატრი, არქიტექტურა. წამოიჭრა მრავალი ახალი პრობლემა კულტურის სფეროში... გაზეთს, რომელიც მხოლოდ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, აღარ ჰქონდა საშუალება მთლიანად დაეკმაყოფილებინა ქართული საბჭოთა კულტურის სადღეისო მოთხოვნები...

ყოველივე ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აუცილებლად მიიჩნია გაზეთის მოცულობის ერთიორად გაზრდა. ეს ფაქტიურად ახალი გაზეთის შექმნას უდრის...

ახალი წლიდან შეიცვლება გაზეთის ფორმატიც და, ამის შესაბამისად, გაფორმებაც. გაზეთი თექვსმეტგვერდიანი იქნება, „ლიტერატურნაია როსიას“ ფორმატისა. მრავალფეროვანი რუბრიკები რედაქციას საშუალებას მისცემს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოიტანოს მთელი თანამედროვე ქართული კულტურის აქტუალური საკითხები, უფრო ფართოდა და ამომწურავად გაშუქდეს ჩვენს ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები.

„ლიტერატურული საქართველო“ კვლავაც საპატიო ადგილს დაუთმობს მხატვრულ პუბლიცისტიკას; როგორც ცნობილია, ამ მებრძოლ და ოპერატიულ ჟანრს განსაკუთრებული გამოცოცხლება დაეტყო მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დაიწყო შეურიგებელი და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. გაზეთის პუბლიცისტიკაში გაშუქდება თანამედროვე ცხოვრების აქტუალური პრობლემები, გამოიკვეთება წამყვანი ტენდენციები, სადღეისო საჭირბოროტო საკითხებზე მკითხველებთან ისაუბრებენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები, ხელოვნების დარგის მუშაკები, მეცნიერები...

დიდი ადგილი დაეთმობა ხელოვნებას; პრინციპული შეფასება უნდა მიეცეს კინოს, თეატრის, სახვითი და მუსიკალური ხელოვნების ყოველ მნიშვნელოვან ნაწარმოებს. მკითხველმა უნდა მიიღოს სრულყოფილი და ოპერატიული ინფორმაცია ახალ ნაწარმოებებზე, იმაზე, თუ რა პრობლემებზე, რა თემებზე მუშაობენ ჩვენი ხელოვნების წამყვანი მოღვაწენი, ნიჭიერი ახალგაზრდები.

შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობაში გაზეთი კვლავაც იხელმძღვანელებს იმ პრინციპებით, რაც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ. ნიჭიერ ავტორებთან თანმიმდევრული, ფაქიზი და მომთხოვნი მუშაობა კვლავაც იქნება „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის მთავარი პრინციპი.

ქართული სალიტერატურო და სამხატვრო კრიტიკის აღმავლობისათვის ზრუნვა კვლავ გაზეთის უმთავრესი ამოცანაა. გაზეთის კოლექტივს განსაკუთრებული მუშაობა მართებს კრიტიკაში მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ამაღლებისათვის. ამოცანა ის არის, რომ შეუფასებელი არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, გზა გადაეღობოს უღიმღამო, არაფრისმთქმელ ნაწარმოებებს. საზოგადოების ყურადღების არეში მოექცეს ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველი ნიჭიერი ქმნილება, რადგან, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, ჭეშმარიტი ნიჭი ეროვნული სიმდიდრეა.

გაზეთის ფურცლებიდან ჩვენს მკითხველს ამიერიდან უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნება მოძმე რესპუბლიკების და თანამედროვე უცხოეთის ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ახალი ლექსი, ახალი ნოველა, ქრონიკა მოძმე ხალხების კულტურულ ცხოვრებაზე ჩვენი გაზეთის ფურცლების მუდმივი სტუმარი იქნება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის და რესპუბლიკის 60 წლისთავის ზეიმის წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოზე“ ესოდენ დიდი ზრუნვა მადლიერების გრძნობით ავსებს მთელ ჩვენს მწერლობას, ჩვენი გაზეთის მრავალათასიან მკითხველს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1981 წლის იანვრიდან გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ გამოიცემა გაზეთ „პრავდის“ ფორმატის რვა გვერდის მოცულობით, კვირაში ერთი ნომრის პერიოდულობით.

ამასთან დაკავშირებით დაისახა ღონისძიებანი მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე გაზეთის გამოცემის უზრუნველყოფის, პროფესიულად, იდეურად და თეორიულად მომზადებული ჟურნალისტებით მისი შემოქმედებითი შემადგენლობის განმტკიცების მიზნით.

საქართველოს მწერალთა კავშირსა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას დაევალათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ისეთ საკითხებს, როგორიც არის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის პროპაგანდა, ბრძოლა საქართველოს მწერალთა მიერ შექმნილი ნაწარმოებების კომუნისტური იდეურობისათვის, ცხოვრებასთან, მშრომელ მასებთან მათი კავშირის განმტკიცება. გაზეთმა რეგულარულად უნდა გააცნოს მკითხველებს რესპუბლიკის მწერალთა კავშირისა და ავტონომიური რეგიონების მწერალთა ორგანიზაციების შემოქმედებითი ორგანიზატორული საქმიანობა, ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს მოძმე რესპუბლიკების მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებს, აქტიურად შეუწყოს ხელი ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებას. იგი თავის ფურცლებზე უნდა აშუქებდეს და აანალიზებდეს მოვლენებს, ტენდენციებსა და პროცესებს, რომლებიც რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარეობს მხატვრული შემოქმედების ყველა დარგში, ამასთან ამკვიდრებდეს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების რევოლუციურ და ჰუმანისტურ იდეალებს, ამხილებდეს ბურჟუაზიული კულტურის რეაქციულ არსს.

„ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 21 იანვრის დადგენილების შესაბამისად გაზეთმა უნდა მიაღწიოს მხატვრულ ნაწარმოებთა უფრო დასაბუთებულ და საგნობრივ გარჩევას, ამაღლოს კრიტიკული პუბლიკაციების იდეურ-თეორიული დონე.

რედაქციამ უფრო ფართოდ უნდა მიიზიდოს თანამშრომლობისათვის ავტორთა აქტივი წამყვანი სპეციალისტებისა და კულტურის ოსტატთაგან, გააფართოოს და განამტკიცოს კონტაქტები რესპუბლიკის ყველა შემოქმედებით კავშირსა და ორგანიზაციასთან, ამასთან გაითვალისწინოს მათი ხელმძღვანელობის მონაწილეობა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი სხვა კონკრეტული ღონისძიებანიც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მაღალი იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ამაღლების, მისი გაფორმების კულტურისა და ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. (საქინფორმი).

მიწის სიყვარული

შემოდგომაა კახეთში.

ტოტებზე თავს ძლივს იმაგრებს მოსაწყვეტად განწირული ფოთოლი.

კიდევ ერთხელ მოსულა ჟამი სიმწიფისა, კაკლების ბერტყვისა, ხილის ჩამოკრეფისა, ვაზთან ჩამუხვლისა. მთელი წლიწადს ამ პროცესისთვის სამზადისი, ოფლისღვრა და მზრუნველობა ერქვა სახელად. მთელი წელიწადი პატარა დრო არ არის — უშველებელი ენერგია მიაქვს, რომ გლეხკაცის ნაშრომი ჯერ კვირტად გამოისახოს, მერე ეს კვირტი ნაყოფად გარდაიქმნას და ბოლოს გულის გასახარად ჩატკბეს და ჩაყვითლდეს, სიუხვით ტოტები და ლერწები დაზნიქოს.

შემოდგომაა კახეთში.

თვალუწვდენელი ზვრები მოლოდინით გარინდულან და უხმობენ მკრეფავს, რათა ქვეყანას დაანახონ ის საუნჯე, რასაც შემკნარ ფოთლებში მალავენ.

ყურძენი — ისევე როგორც სხვა ჭირნახული, არც ბაზრის დახლებზე და არც ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში თავისით არ ჩნდება. მის უკან უხილავი ძალა ჩანს და ამ ძალას ქართველი გლეხკაცი ჰქვია. იმის ამაგით არის ნასაზრდოები, იმის ხასიათი და დღევანდელი სახეა არეკლილი პროდუქტის რაოდენობაში, ხარისხში, არომატში.

გლეხკაცი ერთადერთი შუამავალია, რომელიც მიწის გულისთქმას გვაგებინებს, საკუთარი ზურგით მოაქვს ქვეყნის დოვლათი.

გასულ წელს, თბილისქალაქობაზე, სიღნაღელმა მეგობარმა დაგვათვალიერებინა ის კუთხე, სადაც ამ რაიონის მოსავალი იყო გამოფენილი. მეცხვარის ნაბადში და ქამარ-ხანჯალში გამოწყობილი შუახნის კაცი ცხვარს ატყავებდა. ერთმა ჩვენგანმა ჰკითხა.

— ძია, თქვენ მართლა მეცხვარე ხართ? — კაცმა ირიბად გამოგვხედა.

— მეცხვარე ვარ, აბა, მასწავლებელს მე რა მიგავს? — კითხვა დაუბრუნა მთქმელს და საქმე განაგრძო.

ეს კაცი მართლა თავის პროფესიას გავდა და ემაყებოდა კიდეც, ამ ბოხოხით უნდა ევლო, — სხვის ქუდს ვერ დაიკოსებდა.

სხვაც ასე უნდა იყოს და ნაწილობრივ ასეც არის. აბა, გენახათ, როგორ გვათვალიერებინებდნენ გურჯაანელი მევენახეები ლარზე გაჭიმულ ვაზის მწკრივებს, როგორი შუქი ედგათ თვალებში, როცა თბილისიდან ჩამოსული მწერლები ნაშრომს უქებდნენ.

ისინიც მხოლოდ მევენახეებს გავდნენ...

ერთი ან ორი ბრჭყვიალა ქვით მოზაიკურ სურათს ვერ შექმნი — ყველამ თავის საქმე უნდა იცოდეს ბოლომდე, ამომწურავად.

20 სექტემბერს ეწვივნენ ქართველი მწერლები გურჯაანის რაიონს. მათთან ერთად იყვნენ: პოლონელი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელი იგორ სიკირიცკი და ლოძის გამომცემლობის რედაქტორი, მწერალი იეჟი გოსი.

თავიდან სტუმრებმა და მასპინძლებმა გმირთა დიდების მემორიალი დაათვალიერეს. კიდევ ერთხელ ჟღერდა ფირზე ჩაწერილი სამამულო ომის მელოდია, როგორც შეხსენება დიდი სამამულო ომისა, კაცობრიობამ რომ გადაიტანა რამდენიმე ათეული წლის წინათ. გურჯაანის რაიონიდან ოთხიათას ხუთასი ვაჟკაცი შეეწირა ფაშიზმის განადგურებას — ეს მაშინდელი მოსახლეობის თერთმეტი პროცენტია და ადვილი წარმოსადგენია რამდენი ოჯახი დაობლდა და გაჩანაგდა, რამდენი მხვნელ-მთესველი და მევენახე მოაკლდა რაიონის ველ-მინდვრებს.

მემორიალის კედლებზეა მათი გვარები ამოტვიფრული, როგორც გაფრთხილება, როგორც შეხსენება იმ ტრაგედიისა, მთელ ქვეყანასთან ერთად ამ პატარა კუთხესაც რომ თავს დაატყდა.

მემორიალის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა რაიონის ზვრები მოინახულეს და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ილიას თქმისა არ იყოს მევენახეობისათვის „კახეთი ერთს მართლა და ღვთისაგან დალოცვილს ადგილს წარმოადგენს.“

გზადაგზა სტუმრებს ესაუბრებოდა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ბიჭიკო შინჯიაშვილი.

გურჯაანის რაიონში საზოგადოებრივ სექტორში 12 000 ჰექტარი ვენახია, აქედან მოსავალს იძლევა 8500 ჰექტარი. მთლიანად რაიონმა ივალდებულა, რომ სახელმწიფოს 150 000 ტონა ყურძენი მიჰყიდოს. ამხელა ციფრმა შეიძლება გაგაკვირვოთ, მაგრამ, როცა მართლაც და ამ „ზღვად მომსკდარ“ მოსავალს ნახავთ, დარწმუნდებით, რომ გურჯაანელ მევენახეებს უსაფუძვლოდ არ უკისრიათ ამხელა ვალდებულება. სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ რამდენიმე კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უკვე შეასრულა ყურძნის მიყიდვის პირადი გეგმა.

— ვაზი სახნავისა და დიდპატარას თავდადებული შრომის გარეშე წარმოუდგენელიაო — გვითხრეს. მოსავალსაც ეტყობა, რომ ყველა დარაზმულა და საერთო საქმეში ერთსულოვანი ყოფილა.

ახალგაზრდობა რაიონის მევენახეობის ხვალინდელი დღეა და ბუნებრივია მათი წვლილითაც დავინტერესდით.

— როცა საბოლოო შედეგები შეჯამდება, ცხადი გახდება, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უქმად არ მჯდარა — გვეუბნება კომკავშირის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი გოგი მაჩხაშვილი — ადრეული გაზაფხულიდან დაწყებული — დღემდე, ჩვენი მევენახეობის ყველა უბანზე ცდილობდნენ ტოლი არ დაედოთ ყურძნის მოყვანის გამოცდილი ოსტატებისათვის და თუკი რაიონი ჯერ არნახული მოსავლით ამაყობს, ამ სიამაყეში ახალგაზრდობის წვლილიც არის — ისინი 50 000 ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს მოკრეფენ და ჩააბარებენ სახელმწიფოს.

კახეთის და კერძოდ გურჯაანის რაიონის მიწა რომ მადლიანია, ეს არა ერთხელ ითქვა, აქაური გლეხკაცის ქებაც არაერთხელ გვსმენია, წაგვიკითხავს, პირადადაც გვინახავს, როგორ დასტრიალებს თავის ნაამაგარს, ამგვარი გარჯის გარეშე ცხადია წარმოუდგენელი იქნებოდა 1980 წლისთვის 150 000 ტონა ყურძნის მოწევაზე ოცნებაც კი.

ვეჯინის სანერგე საბჭოთა მეურნეობის ზვრების თავში ვიდექით. იქვე, მახლობლად ტოტებგაშლილი ხის ქვეშ ზედადგარზე სათათარე ქვაბი თუხთუხებდა. ხანდაზმული ქალი ხის ჩამჩით შესქელებულ ბადაგს ურევდა და ქვაბიდან ამოსულ ოხშივარს დამათრობელი სურნელი მოჰქონდა.

— ვერც ერთი ლაბორატორია ვერ გაასუფთავებს ადამიანის სულსა და გულს ისე, როგორც მიწასთან ჭიდილი და მიწის სიყვარული — თქვა ბიჭიკო შინჯიაშვილმა და ზვრებში გაფანტული ხალხის ხმას ყური მიუგდო.

მართლაც ასეა!

ვანო ჩხიკვაძე



„...ჭირნახული უხვად იყოს“

ყრილობიდან
ყრილობამდე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე უპასუხებს „ლიტერატურნაია გაზეტას“ სპეციალური კორესპონდენტის შეკითხვებს

— პატივცემულო ედუარდ, სკკპ XXV ყრილობაზე თქვენ ბრძანეთ, რომ მეცხრე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკის მშრომელებმა შეუძლებელი შესაძლებლად აქციეს — დიდ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

და ყრილობაზე ამავე გამოსვლაში თქვით: მეათე ხუთწლედი ჩვენთვის ძნელი ხუთწლედი იქნებაო.

ხომ ვერ გვიამბობდით, რა სიძნელეები იყო ეს და რა შედეგებით ამთავრებს რესპუბლიკა ხუთწლედს?

— მთელი ქვეყანა სკკპ ყრილობებს შუა წლებში იღვწოდა მეათე ხუთწლედის — მუშაობის, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ამ ბუნებრივ შემოქმედებით გარჯას დაემატა სიძნელეები, რომლებიც განსაკუთრებული გარემოებებით იყო გამოწვეული.

სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე წლის მანძილზე, ორმოცდაათიანი წლების შუახანებიდან მოყოლებული, საქართველოში მკვეთრად მცირდებოდა ეკონომიკური პოტენციალი, საგრძნობლად შესუსტდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმი, გამოცოცხლდა ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა.

და აი, 1972 წელს, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ღრმა ანალიზის საფუძველზე, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ მიღებულ იქნა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დოკუმენტების მიღების შემდეგ მეცხრე ხუთწლედის მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლა რესპუბლიკის მშრომელების პრესტიჟის საქმე, მათი სახელისა და ღირსების საქმე გახდა. აკი შევასრულეთ კიდეც ხუთწლედის გეგმები!

მაგრამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განმსაზღვრელ დარგებში მეათე ხუთწლედის დამდეგისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გვქონდა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით.

შევიმუშავეთ რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ზუსტი მეცნიერული პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია ზრდის მთელი რეზერვები, მოცემულია სახალხო მეურნეობის აღმავლობის ახალ შესაძლებლობათა ძიების კრიტერიუმები და მისი მართვის ოპტიმალური ვარიანტები.

მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებას მარტოოდენ ეკონომიკა როდი ასულდგმულებს. უფრო სწორად, ეკონომიკურ აყვავებას ვერ მივაღწევთ, თუ არ გავითვალისწინეთ ზრდის ერთ-ერთი მთავარი რეზერვი — თვით ადამიანი, ჩვენი თანამედროვე.

ჩვენი რესპუბლიკის არცთუ შორეული წარსულის მაგალითით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოების ზედნაშენის სფეროში ყოველგვარი კომპრომისი არათუ ასუსტებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმს, არამედ ეკონომიკური პოტენციალის დაქვეითებასაც იწვევს, ვინაიდან ამ დროს უცილობლად ირღვევა სოციალისტური მეურნეობრიობისა და მმართველობის პრინციპები.

არადა, ყოველივე ამას, ერთად აღებულს, მოსდევს ადამიანთა ფსიქოლოგიის დეფორმირება, ჭეშმარიტ ღირებულებებზე არსებულ წარმოდგენათა გაუკუღმართება.

ამგვარმა კომპრომისებმა ჩვენს რესპუბლიკაში ის გამოიწვია, რომ ნეგატიური სუბიექტური ფაქტორები საკმაოდ ღრმად გაუჯდა სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სტრუქტურას და უკვე წვრილბურჟუაზიული ცხოვრების წესის გამოვლინებათა ობიექტური წანამძღვრების როლში გვევლინებოდა.

მეათე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული მრავალმხრივი პერსპექტიული გეგმებით მიზნად ვისახავდით აგრეთვე ადამიანის სრულყოფას, მისი ყველაზე სრული პროფესიული მეობის გამოხატვის მიღწევას, მისი ზოგადი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებას, ადამიანისათვის უსპეტაკესი ადამიანური თვისებების გამომუშავებას, თითოეული პიროვნების აღზრდას ჩვენი იდეური და ზნეობრივი პრინციპების სულისკვეთებით, შრომის კულტის დამკვიდრებას საზოგადოების ყოველ უჯრედში, თითოეულ ოჯახში.

მაგრამ, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, მოვალენი ვართ ეს სწავლება საკუთარი თავით დავიწყოთო.

სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომი სრულყოფისათვის ბრძოლას რომ ვიწყებდით, გავითვალისწინეთ რა საზოგადოებრივი აზრი, გამოვცვალეთ რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური რგოლის ზოგიერთი ხელმძღვანელი. ამ აქციებს შედეგად მოჰყვა საგრძნობი პოზიტიური ძვრები ცხოვრების ყველა სფეროში.

მაგრამ ნუ გეგონებათ, თითქოს ჩვენს საქმიანობაში მთავარი იყოს შურისგება, ვისიმე დასჯა, თუმცა ჩვენ სამართალში მივეცით ისინი, ვინც იცოდა, რას სჩადიოდა, ვინც ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წლის შემდეგაც კი ფიქრობდა, ეს მორიგი ფორმალური კამპანიაა და არა ცხოვრების კარდინალური გარდაქმნაო. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ წინამძღოლის კომპეტენტურობა და იდეურობა როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორებია.

ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ, როგორც პოეტმა თქვა, „ხელახლა ახალივით ელავდეს“ იდეები, პრინციპები, საბჭოთა ცხოვრების წესის ღირებულებანი. საამისოდ კი დეკლარაციები, კეთილი განზრახვები და თვით კომუნისტთა საკუთარი მაგალითიც კი არ კმაროდა. უნდა მიგვეგნო მოვლენისადმი სისტემური მიდგომისათვის და მეცნიერულ საფუძველზე შეგვემუშავებინა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ხასიათის ღონისძიებანი.

უკვე 1976 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოვიპოვეთ რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაში.

და თუ მეათე ხუთწლედის, როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოსათვის განსაკუთრებით ძნელი ხუთწლედის დამლევს რესპუბლიკამ ზედიზედ მეშვიდედ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, — ეს აიხსნება არა მარტო რესპუბლიკის მშრომელთა გმირული ენთუზიაზმით, არამედ იმ პრინციპული გარდატეხითაც, ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის მართვაში, სულიერ და ზნეობრივ ცხოვრებაში რომ მოხდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: ენთუზიაზმი ცხოვრების წესის სასიკეთო გარდაქმნების შედეგია. სწორედ ეს ენთუზიაზმი გახლავთ ადამიანის ამაღლებული სულის გამოხატულება, შესაძლებლობათა გამოყენება შემოქმედებითი თავდადებული შრომისათვის, შეგნებული ზნეობრივი არჩევანისათვის, რომლის დროსაც აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია პიროვნებისათვის ბუნებრივი ხდება.

ჯერ კიდევ კ. მარქსი ამბობდა, თუ ადამიანის ხასიათს გარემოებები ქმნის, მაშინ გარემოებები ადამიანურად უნდა ვაქციოთო. სწორედ ამის მისაღწევად ვიღვწოდით მტკიცედ და შეუპოვრად მთელი ეს წლები. და აკი მივაღწიეთ კიდეც იმ მიზანს, რომელიც დავისახეთ, როცა თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ვასრულებდით და პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ვახორციელებდით.

მიმდინარე წლის დამდეგს პარტიული აქტივის კრებაზე ჩვენ საქმის მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო: მეშჩანური ღირებულებითი ორიენტაციები უკვე აღარ ასრულებს უწინდელ როლს ადამიანთა ცხოვრებაში. მოსახლეობის თვალში დაეცა ეგრეთ წოდებული „ენერგიული ადამიანების“ — საქმოსნების, მაქინატორების, სპეკულანტების პრესტიჟი, ხოლო ალალ და პატიოსან მშრომელთა პატივისცემა მკვეთრად ამაღლდა.

საქართველოს კომუნისტები პირნათელნი ეგებებიან პარტიის XXVI ყრილობას.

რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი გასწრებით შეასრულა ოთხი წლის დავალება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების, საცალო საქონელბრუნვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობისა და ეკონომიკურ-სოციალური განვითარების მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი პარამეტრების მიხედვით.

(დასასრული მე-2 გვ.).

„...ჭირნახული უხვად იყოს“

(დასასრული)

და კიდევ ერთხელ მინდა საგანგებოდ ვთქვა: ეკონომიკური და სოციალური წარმატებანი იმის შედეგი გახლავთ, რომ აღვადგინეთ და კიდევ უფრო განვავითარეთ პარტიული ცხოვრების ლენინური სტილი, კომპლექსურად მივუდექით ახალი ადამიანის აღზრდას.

— მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. მაშასადამე, ნეგატიური მოვლენებისათვის ჯერ კიდევ ვერ მოგვიღიათ ბოლო, არა?

— საერთოდ, არ შეიძლება საკითხის ასე დაყენება: ჯერ ბოლო მოვუღოთ ნეგატიურ მოვლენებს, „განვიწმინდოთ“ სიბილწისაგან, მერეღა შევუდგეთ ახალი ადამიანის აღზრდას. ეს ერთიანი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პროცესი გახლავთ. უფრო მეტიც, სკკპ XXV ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მკაფიოდ განსაზღვრა ამ პროცესის დიალექტიკა: „... რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით. მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს“.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ჩვენი კონფერენციის სრულ, თუმცა რამდენადმე გრძელ სახელწოდებას: „კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპების, კომუნისტური მორალის ნორმების საყოველთაოდ დამკვიდრების წანამძღვარია“.

დაძლევა დამკვიდრების გულისათვის!

და თუმცა ეს პროცესი დიალექტიკურად განუყრელია, ახალი ადამიანის აღსაზრდელად მუშაობის ტაქტიკის შემუშავებისას ჩვენ შეგვიძლია პირობითად ვილაპარაკოთ საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე. აი ახლაც, რესპუბლიკაში ცხოვრების წესის სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე, უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ზნეობრივად აქტიური პიროვნების აღზრდის პოზიტიური გამოცდილების პრაქტიკული დამკვიდრების ფორმები და მეთოდები.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ, რასაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ისევე ცხადყო, რომ იდეალური, კონკრეტული დადებითი მაგალითების მოთხოვნილება, კაცმა რომ თქვას, უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე მხილებისა და სამართლიანი შურისგების წყურვილი.

ზნეობრივად ამაღლებულმა, იდეურად მტკიცე, სოციალურად აქტიურმა პიროვნებამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენს პროპაგანდაში, პრესის ფურცლებზე.

მინდა მოგახსენოთ, თუ რა როლს ვაკისრებთ ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას. მათ ალბათ ისე, როგორც ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედების არც ერთ სხვა საშუალებას, შეუძლიათ უშუალო და ღრმა გამოხმაურება პოვონ მის ზნეობრივ-ინტელექტუალურ აღქმაში, წარუხოცელი კვალი დატოვონ ადამიანის სულში. ცხადია, მაღალი სულიერი კულტურის ადამიანთა თაობის აღზრდა ჩვენი პარტიის ერთგული თანაშემწეების — ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი დახმარების გარეშე შეუძლებელია. უმათოდ არ გვეყოლებოდნენ კოშევოები და კოსმოდემიანსკაიები, კოროლიოვები და გაგარინები.

სწორედ ამიტომ არის, რომ ესოდენ ცხოველი ინტერესით ვადევნებთ თვალს ჩვენი ცნობილი კინორეჟისორის რევაზ ჩხეიძის მუშაობას ახალ ფილმზე რაიკომის მდივნის შესახებ; სწორედ ამიტომ არის, რომ მოუთმენლად მოველით სპექტაკლს თანამედროვეობის მწვავე პრობლემებზე, რომელსაც რუსთაველის სახელობის თეატრში ამზადებს რობერტ სტურუა, მოველით ქართველ მწერალთა ახალ ნაწარმოებებს. ჩვენი დღეების გმირთა აღზრდა-ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ხელოვნების და ლიტერატურის მაღალ-მხატვრულ ქმნილებებში აისახა, პოლიტიკური, პარტიული პროცესი გახლავთ.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ლენინური პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა პუბლიცისტიკის მთავარი ამოცანის შესახებ ასე ბრძანა: „იქრებოდე პრაქტიკულ ცხოვრებაში, ეხმარებოდე ხალხს — უფრო მკაფიოდ შეიგნოს წუთისოფლის აზრი და მისი მიმდინარეობის მიმართულება, ეხმარებოდე — უკეთესი, უფრო სწორი, უფრო ნათელი და მდიდარი გახადოს ეს ცხოვრება არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც, — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი და კეთილშობილური?“

და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი; „მატერიალურ და სულიერ განვითარებაში სხვაობას ვერ დავუშვებთ, ეს აურაცხელ უბედურებას გვიქადის“.

ჟურნალისტებსა და მწერლებს ყველაზე უკეთ მოეხსენებათ, რომ ბოროტების აღწერა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სადად, ხატოვნად, საგნობრივად, გატაცებით დახატო ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, ამასთან უკუაგდო სქემა „ადამიანი — სამუშაო“. აქ გვმართებს ძიება და განსაკუთრებული ოსტატობა.

მაგრამ, ხშირად ზედმეტად ზეშთაგონებული ცხოვრების მაგალითი ზოგიერთ ლექციების ციკლზე უკეთ გვეხმარება დავრაზმოთ ადამიანები ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა კი არამც და არამც არ უნდა შევასუსტოთ. ამ მოვლენათაგან განსაკუთრებით საზიზღარია კერძომესაკუთრული მისწრაფებანი, რომლებიც მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებს წარმოშობს. ამას კი, თავის მხრივ, საკმაოდ ხშირად მიჰყავს ადამიანები დანაშაულებრივ ქმედებამდე, ვინაიდან კერძომესაკუთრული ტენდენციები სხვისი ნაამაგარის მითვისებასთან არის დაკავშირებული, სოციალისტურ საზოგადოებაში მთელ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის გარჯა ქმნის. და ის, ვინც უპატიოსნო გზით შოულობს მეტს, ვიდრე მას შრომის შედეგების მიხედვით ერგება, მშრომელ კაცს ძარცვავს აშკარა თუ ფარული ფორმით.

ნეგატიური მოვლენებისადმი უკომპრომისო კლასობრივი მიდგომა გულისხმობს აგრეთვე უნარს განასხვაო ცნებები „კერძო საკუთრება“ და „პირადი საკუთრება“, „კეთილდღეობისადმი მისწრაფება“, რომელშიც დასაძრახი არაფერია, და „გამდიდრებისადმი მისწრაფება“.

აქ პარტია ადამიანის ფსიქოლოგიაზე აქტიური ზემოქმედების პოზიციაზე დგას. ადამიანს ჯერ გემოვნება უნდა დავუხვეწოთ, ვასწავლოთ მისთვის მინიჭებულ შესაძლებლობათა ჭეშმარიტ დანიშნულებაში გარკვევა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოვუმუშაოთ მოთხოვნილება, რომ ყიდვისთანავე წაიკითხოს წიგნი, სისტემატურად იაროს თეატრებში, კონცერტებზე, გამოფენებზე, უფრო მეტიც — ავტომანქანაც, მაგნიტოფონიც, მოდური ტანსაცმელიც, რაც ხშირად ლამის „ნივთებისადმი მონობის“ სიმბოლოებად გვევლინება, თავისთავად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სასარგებლოდ და სახმარად, მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ცუდი სხვა რამ არის — ცუდია, როცა ადამიანი მანქანის ან ნებისმიერი სხვა ნივთის მონა ხდება.

— სამწუხაროდ, აქაც ხშირად წარმოიშობა ხოლმე დრამატული, ზოგჯერ კი ტრაგიკული სიტუაციები. ავიღოთ, თუნდაც, ამასწინანდელი შემთხვევა, რომელიც „კომსომოლსკაია პრავდამ“ აღწერა, — ბაღის პატრონმა ერთი მუჭა ბლის გულისთვის ყმაწვილი ქალი რომ მოკლა. სატელევიზიო ჟურნალმა „ადამიანი და კანონი“ გვიჩვენა ბლის პატრონის სახე და მისი უბედური მშობლების სახე. ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივი გარეგნობა... არავითარ ავაზაკებს არ ჰგავანდნენ. უფრო მეტიც — ბაზარში ასეთებთან, თუნდაც მამასისხლად, გვესიამოვნება ხოლმე სანოვაგის ყიდვა: თავაზიანები და ზრდილნი ჩანან. და ამავე დროს, ეს ტიპი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ჩეხოვის მკვახე ხურტკმელის მჭამელი, რომლის სახითაც მწერალი გვაზიზღებს „უბადრუკ საკუთრების პატრონს“... მაშ რა ვქნათ, იმის იმედით ვიყოთ, რომ კერძომესაკუთრული ეგოიზმი ადრე თუ მალე ადამიანს განსასჯელის სკამზე დასვამს? რომ კანონი მას დასჯის იმათი ჭკუის სასწავლებლად, ვისი მისწრაფებებიც ჯერ არ გადაქცეულა სისხლის სამართლის დანაშაულად?

— იმედით ვიყოთო, ბრძანებთ? არამც და არამც! თუმცა დასჯის გარდაუვალობის აღმზრდელობითი მნიშვნელობის დაუფასებლობაც არ შეიძლება. ასევე კონკრეტული შეგონებისა. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, სულ სხვაა. მთავარია პიროვნების აღზრდა. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ჩვენ სოციალიზმის ანტიპოდების შეუწყნარებლობის პრინციპთან ერთად გამოვაცხადეთ დევიზი: „ადამიანის პიროვნებაში ადამიანისათვის!“.

უნდა მოგახსენოთ, რომ, ვგონებ, დადგა დრო სერიოზულად ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ჩავუნერგოთ ადამიანს ჩვენი კანონების უსაზღვრო პატივისცემა, იქნება ეს სისხლის სამართლის კოდექსი თუ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები. კანონის დარღვევისათვის შურისგების გარდაუვალობის შიში ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა სდევდეს ადამიანს, რომელსაც კანონიერების მიჯნის გადალახვა განუზრახავს. რა თქმა უნდა, ჩვენი ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც პატიოსნად იხდიან თავიანთ ვალს საზოგადოების წინაშე, საბჭოთა კანონი ქომაგად და მოკავშირედ მიაჩნია. მაგრამ, თუ კანონს გადახვედი, მაშინ მისი მტერი ხდები. და აქ უკვე საზოგადოებას უფლება აქვს დაიცვას თავი ჩვენი მართლმსაჯულების ნორმებით განსაზღვრული უმკაცრესი ღონისძიებებით.

ადამიანის ცხოვრებისეული ღირებულებები კრიტერიუმია მისი ქცევისა საზოგადოებაში. კრიტერიუმია მისი წარმოდგენისა ბედნიერებასა და ღირსებაზე. და რაც უფრო მეტია ამ ღირებულებებში სულიერად ამაღლებული, მით უფრო მეტი გარანტიაა იმისა, რომ ადამიანი არასდროს არ დაეცემა ისე, თავი დაიმციროს და ამ წუთიერ მატერიალურ მოთხოვნილებებზე დამოკიდებული გახდეს, თავის პიროვნებაში მატერიალურ საწყისს ჩაახშობინოს სულიერი საწყისი. როგორ მივაღწიოთ ჰარმონიას პიროვნების განვითარებაში — ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე „ნივთებისადმი მონობის“ უკიდურეს გამოვლინებათა აღმოფხვრის პრობლემა.

— მაშ ასე, არიან ადამიანები, რომლებიც ნივთების მონები გამხდარან. ისინი უნდა ალვზარდოთ, უნდა ვეცადოთ, ამაღლებული მოთხოვნილებებით განვდევნოთ მათი ყოფიდან მდაბალი მოთხოვნილებანი. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ შედარებითია და ნივთებიც არ არის ისეთი მატერიალური, როგორც გვგონია. მე მხედველობაში მაქვს არა იმდენად მათი ყალბი პრესტიჟულობა, რამდენადაც ჭეშმარიტი სოციალური და კულტურული მნიშვნელობა.

მოგიყვანთ მაგალითს. 1968 წელს სოციოლოგებმა გამოკვლევა მოაწყვეს ჩელიაბინსკის მეტალურგიულ საწარმოებში. ერთმანეთს შეადარეს მოსწავლეებისა და მათი მშობლების მომხმარებლური შეხედულებანი. უფროსკლასელთა 41,5 პროცენტმა აუცილებელ ნივთთა შორის ჩაწერა მაგნიტოფონი, მშობელთაგან კი მხოლოდ ერთმა პროცენტმა მიიჩნია იგი ასეთად. 1978 წელს უკვე მოზრდილ ჩელიაბინსკელთა 30 პროცენტზე მეტმა უპირველეს საყიდლებს შორის დაასახელა მაგნიტოფონი. ამას ისინი ხსნიან არა გაზრდილი მატერიალური შესაძლებლობებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მაგნიტოფონი საჭიროა ბავშვთა ეფექტიანი სწავლებისა და ოჯახის წევრთა საერთო განვითარებისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას მაცივარზე, ტელევიზორსა ან სარეცხ მანქანაზე, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პრესტიჟული ნივთების ნუსხაში შედიოდა. ასეთივე ბედი მოელის მსუბუქ ავტომანქანებს, ხალიჩებსა და „დუბლიონკებს“, ზოგი ადამიანის ამდენ ენერგიას, გონებასა და ღირსებას რომ იწირავს.

მაგრამ წვრილბურჟუაზიულ ცოდვებში ჩაფლული კაცი ეკონომიას ეწევა თავისი სულიერი და კულტურული განვითარების ხარჯზე. და ეს მარტოოდენ ცალკეული პიროვნების პრობლემა კი არა, მთელი საზოგადოების პრობლემაც გახლავთ.

მაშ როგორღა გავმიჯნოთ გონივრული მოთხოვნილება და უზნეო მეშჩანური დამოკიდებულება?

რა უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, მე მგონი, „ნივთებისადმი მონობის“ სენი ძნელი გამოსაცნობია... ძნელი საცნობია ნივთების მეშვეობით, მათი რაოდენობის მეშვეობით, მათი დასახელების რეესტრის მეშვეობით. ნივთისადმი, ცხოვრებაში მისი დანიშნულებისადმი დამოკიდებულება მთავარია. უნდა დავსვათ ორად ორი კითხვა: „რატომ?“ და „რა გზით?“. პირველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, „ავადმყოფებს“ ლოგიკა ღალატობთ, მეორეში კი ხშირად უხდებათ პასუხის გაცემა არცთუ სასურველ წრეში.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან შეიძლება დავასახელოთ ბევრი მაგალითი იმ ადამიანთა დანაშაულებრივი მოქმედებისა, რომლებიც, ნივთების შეძენის წყრას ატანილნი, არავითარ მორალურ აკრძალვებს არ დაგიდევენ.

ხოლო მოხმარების მაღალი კულტურა იმით ვლინდება, რომ ადამიანი თავის მოთხოვნილებებს უფარდებს საზოგადოების შესაძლებლობებს, თავის შრომითს წვლილს და საკუთარ საზოგადოებრივ მდგომარეობას.

არსებობს გარკვეული საარსებო მინიმუმი, რომელიც ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა გაიანგარიშეს, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი ამ გაანგარიშებათა შესწავლა: ცხოვრებისეულ სტანდარტზე წარმოდგენა აქვს ყოველ თანამედროვეს. სტანდარტი ითვალისწინებს ყველაფერს, რაც უნდა ჰქონდეს ადამიანს, რათა საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გრძნობდეს თავს მისი განვითარების მოცემულ დონეზე.

მოთხოვნილებათა დაკნინებას შეიძლება მოჰყვეს პიროვნების ფიზიკური და სულიერი უმწიფარობა, აგრეთვე შრომითი ინიციატივის დაქვეითება სტიმულების უქონლობის გამო. ხოლო იშვიათი თუ ძვირფასი ნივთებისადმი დაუოკებელმა მისწრაფებამ, რაც ადამიანის უზნეობასა და თავშეუკავებლობას მოწმობს, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიძლება უფრო სერიოზული მორალური ზიანი მოგვიტანოს.

— 20-იანი წლების ერთ-ერთ გამოკვლევაში წავაწყდი სოციალური ტიპაჟის ასეთ განსაზღვრებას — „მოდურად ჩაცმული უკულტურო პრიმიტივი“. ახლა, რა თქმა უნდა, ასეთი შეუსაბამობანი გაცილებით ნაკლებად გვხვდება, ვინაიდან ტანსაცმელი გაზრდილი ზოგადი კულტურის შემადგენელი ნაწილი გახდა. და მაინც, ახლაც ზოგიერთი გარეგნული ზედმეტობის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზერელე შინაგან კულტურაზე.

— აი, სწორედ ეს გახლავთ პიროვნების აღზრდის ერთ-ერთი პრობლემა. საზოგადოების ყველა სოციალური ინსტიტუტი, ოჯახიდან და სკოლიდან მოყოლებული, არსებითად, უნდა წყვეტდეს ერთ ამოცანას — აბამდეს ადამიანს თანამედროვე კულტურის სისტემაში ამ სიტყვის გლობალური მნიშვნელობით. გონივრული მოთხოვნილებანი ზოგადი კულტურის ელემენტია, რადგან განვითარებული ადამიანი თავს ნებას არ მისცემს იყოს ვისიმე დასაცინი ან შესაბრალისი, ვულგარული ან თავშეუკავებელი. ჯერ კიდევ ძველად ამბობდნენ, ადამიანი ყველა ნივთის საწყაოაო.

— ეტყობა, ეს მოკლე ფორმულა მარტოოდენ „ნივთიერ“ სამყაროსთან ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების განსასაზღვრავად არ გამოდგება. ადამიანის სულის მოძრაობას ჩვენ ასევე ხშირად ვუწოდებთ სოციოლოგიურ სიტყვას — „მოთხოვნილებას“.

ხომ არ გგონიათ, რომ სულიერი მოთხოვნილებანი ზოგჯერ მეტისმეტად გვაგონებს მატერიალურს? მე ის მინდა მოგახსენოთ, რომ ბევრი რამ იქიდან, რაც მუდამ სანუკვრად მიგვაჩნდა, არცთუ იშვიათად ყალბი პრესტიჟის კრიტერიუმი ხდება ხოლმე: ზოგჯერ წიგნებს იძენენ მხოლოდ ინტერიერისათვის, ტურისტულ მოგზაურობაში მიეშურებიან „ფირმული“ ძონძებისათვის, ხოლო სპეცსკოლებს ენამოსწრებული ადამიანები ტყუილად როდი უწოდებენ „ნიჭიერი მშობლების სკოლებს“ და ა. შ.

ისე გამოდის, რომ სულიერ მოხმარებაშიც იქმნება ერთგვარი დეფიციტი: ვისთვისაც კულტურული ღირებულებანი პურს არსობისას წარმოადგენს, იმათ ამ ღირებულებებს ხელიდან გლეჯენ „ენერგიული“ ადამიანები, როგორც ქიშმიშიან ნაზუქს. თანაც მარტოოდენ პატივმოყვარეობის გულისთვის...

ხომ არ ღირს გვესაუბრა მოხმარების ამ სფეროშიც გონივრულ მოთხოვნილებათა გამომუშავების შესახებ?

— სწორედ რომ ღირს. ოღონდ სხვა კუთხით. არავითარი თვითშეზღუდვა! მით უმეტეს — არავითარი კლასიფიკაცია — აზრადაც არ უნდა გავივლოთ: ამას ეს უფრო სჭირდება, ეს კი მოიცდის, სანამ „შთაგონების მადლი ეწვევაო“.

განვითარებული სულიერი მოთხოვნილებების მქონე ადამიანისათვის დაბრკოლებები არ არსებობს: საჭირო წიგნს იგი ბიბლიოთეკაში წაიკითხავს, მისთვის საინტერესო სპექტაკლს პრემიერის შემდეგ ნახავს, ხოლო შვილებს თვითგანათლების მიდრეკილებას განუვითარებს.

მე, როგორც პარტიულ მუშაკს, შეგნებული მაქვს ასეთ მოთხოვნილებათა აქტიური, მეცნიერული გამომუშავების აუცილებლობა.

ხოლო ამგვარი „ბუმის“ უხეირო, მოტმასნილი მხარე იმით არის გამოწვეული, რომ დეფიციტი (იგი კი ალბათ, მუდამ იქნება სულიერ მოხმარებაში) ხშირად ხელოვნურიც არის ხოლმე: ცოტაა წიგნები, იმიტომ რომ არ გვყოფნის ქაღალდი, ჯეროვნად არ არის განვითარებული, უფრო სწორად, ხალხის კულტურულ განვითარებას ვერ მიჰყვება მუზეუმების, სკოლების, პოლიგრაფიის, ტრანსპორტის, სასტუმროების, კურორტების, სანახაობითი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განვითარება. ჰოდა, სწორედ ამგვარი დეფიციტი ანიჭებს სულიერ მოხმარებას მატერიალურ, პრესტიჟულ ელფერს.

— არავითარი ეჭვი არ არის, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციები სწორედ ის რგოლია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება წამოატივტივო მთელი ჯაჭვი ნეგატიური მოვლენებისა ჩვენი ყოფიდან, რომლის სრულყოფასაც, ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, მთელი ჩვენი საქმენი და აზრები უნდა მოვახმაროთ.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში მიღებულ იქნა დადგენილებები, რომელთა მიზანია კერძომესაკუთრული ტენდენციების ცალკეული, კერძოდ, ისეთი გამოვლინებების აღმოფხვრა, როგორიც არის პროტექციონიზმი, მექრთამეობა, მომხვეჭელობა, მუქთახორობა, სპეკულაცია, სოციალისტური საკუთრების დატაცება და ა. შ.

1977 წელს ჩვენმა გაზეთმა პუბლიკაციაში „მითხარ, როგორ ცხოვრობ...“ მკითხველს უამბო, თუ როგორ სწავლობენ საქართველოში ხალხის სულიერი ცხოვრების ისეთ ფაქიზ სფეროს, როგორიც ეროვნული ტრადიციები, რიტუალები და წეს-ჩვეულებებია.

საქმე იმას ეხებოდა, რომ, მაგალითად, ქართული სუფრა ოდითგან იყო მოყვრული დამოკიდებულების, უსპეტაკესი ქცევის გაკვეთილი, ხოლო ნეფე-პატარძლის საუკეთესო საჩუქრად ითვლებოდა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ თანდათანობით ქორწილი, ქელეხი შეწევნისა და შეწირულობის საბაბი გახდა. სტუმრებს აფასებდნენ არა სიახლოვითა და ჭირსა თუ ლხინში გულწრფელი მონაწილეობის მიხედვით, არამედ მათი პრესტიჟულობისა და ძღვენის ფასის მიხედვით. ის კი არა, გაჩნდა ასეთი ტერმინიც — „გადახურვა“, ესე იგი ღონისძიება სარგებლიანად ითვლებოდა, თუ „შემოსავალი“ გასავალს სჭარბობდა.

გამოკვლევამ, რომელიც მაშინ მოაწყო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის საბჭომ, ფრიად დამაიმედებელი შედეგები მოგვცა. ანკეტის შემვსებთა დაახლოებით 74 პროცენტს მიაჩნდა, რომ ეროვნული ტრადიციების არსი გადაჭრით უნდა განიწმინდოს მისთვის უცხო და მიტმასნილი ჩვეულებებისაგან. ხოლო გამოკითხულთა 86 პროცენტი (!) ამტკიცებდა, რომ ყველა პრობლემის თავიდათავია მოსახლეობის ნაწილის კერძომესაკუთრული მისწრაფება, რომ სწორედ აქ ვლინდება მანკიერების ურთიერთთავდებობა, რომ სწორედ ამ მიდრეკილებამ აამღვრია ეროვნული ტრადიციების ანკარა წყარო. რა მოგცათ ამ გამოკვლევამ პრაქტიკული მუშაობისათვის?

— უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა, მისი მომზადება კარდინალური პრობლემის გადასაჭრელად. ხოლო მხარდაჭერა რომ მოგვეპოვებინა, ადამიანები რომ გაგვერკვია ცხოვრების ჭეშმარიტ აზრში, უნდა მიგვემართა სწორედ იმისათვის, რასაც ადამიანი ყოველ ცისმარე დღეს აწყდება თავის ცხოვრებაში, და ეს უნდა გვექნა სწორედ იმ უკომპრომისო დადგენილებათა შემდეგ, რომელთა მიზანი იყო დანაშაულებრივი ელემენტების უცილობელი დასჯა.

საკუთრივ ამ პრობლემაზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 94,4 პროცენტის აზრით, კერძომესაკუთრული ტენდენციების გავრცელება სერიოზულ საფრთხეს უქადის სოციალისტური ცხოვრების წესს. 52 პროცენტი კმაყოფილია რესპუბლიკაში ამ ტენდენციებთან ბრძოლის მიმდინარეობითა და შედეგებით. მაგრამ სპეციალურმა ანალიზმა ცხადყო: დარჩა კიდევ სკეპტიკოსთა, მერყევთა, ეჭვით შეპყრობილთა, იმ პირთა 48 პროცენტი, ვინც ფიქრობს, სხვისი ჭირიო — ღობეს ჩხირიო.

ტრადიციებისა და რიტუალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე მივიღეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. შეიქმნა ავტორიტეტული კომისია, რომელიც ამუშავებდა და ნერგავდა ახალ რიტუალებს, ხვეწდა ძველ ხალხურ ტრადიციებს. აღმასკომებთან გაჩნდა საწესჩვეულებო მომსახურების სპეციალური სამსახურები. სოფლად და ქალაქად წარმატებით ეწყობა ახალი დღესასწაულები ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ხსოვნის პატივსაცემად — შოთაობა, ილიაობა, ვაჟაობა.

მაშ რა არის ახალი რიტუალების დანერგვა, თუ არა მისწრაფება განდევნო მერკანტილურობა ყოველივე იმ სათაყვანოდან, რაც ყველა ერს გააჩნია? ახალ საბჭოთა რიტუალებს არ იკითხავთ? ეს გახლავთ ჯარში გაცილება, პიონერთა რიგებში, კომკავშირში მიღება ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. პარტიის ყოველ რაიკომთან, საბჭოთა დაწესებულებებში არის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები. ბუნებრივია, რომ ისინი მარტოოდენ კი არ „ააშკარავებენ“ და „აღმოფხვრიან“ ნაკლოვანებებს, არამედ აგრეთვე ნერგავენ ახალ ღირებულებებს სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ცხოვრებაში. საინტერესო, სასარგებლო საქმეებს მოველით ერთაშორისი ურთიერთობის განვითარება-განმტკიცების და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობის კოორდინაციის საბჭოსაგან, რომელიც ახლახან შეიქმნა.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმ კარგ თაოსნობებზე, რომლებიც რესპუბლიკის ყველა რაიონში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, საწარმოში იშვა. მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გამოცდილება, რომელიც მოკლე ვადაში ჩამორჩენილი საწარმოდან მოწინავედ იქცა, საბჭოთა ცხოვრების წესის ამსახველი ნარკვევების მთელ სერიას ეყოფოდა...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სამართლიანად აღნიშნა, რომ გაკეთებული ბევრია, გასაკეთებელი კი უფრო მეტი.

ეს სავსებით ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. მაგრამ მთავარი მიღწეულია: ისტორიის ჩარხის შეტრიალება შეუძლებელია. გაგრძელდება შემდგომი წინსვლა-განვითარება, ობიექტურად დასახული, შეუქცევადი პროცესი. ბუნებრივია, გვექნება პრობლემებიც, მათი გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის ძიებაც, აზრთა სხვადასხვაობაც.

— ალბათ, არის ისეთი საკვანძო პრობლემები, რომლებიც უნდა გადაჭრათ ახალ ხუთწლედში და შემდგომშიც, ქვეყნის განვითარების იმ გრძელვადიანი პროგრამის შესაბამისად, რომელიც სკკპ ყრილობებმა შეიმუშავეს, პრობლემები, რომელთა გადაჭრაზე საზოგადოების მორალური მდგომარეობაც არის დამოკიდებული?!

დეტალებით თავს არ შეგაწყენთ და მოგახსენებთ ზოგიერთ ძირითად პრობლემას. ეკონომიკურ სფეროში უნდა მივაღწიოთ მატერიალურ ღირებულებათა წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას და ამ საფუძველზე სრულვყოთ მატერიალური დოვლათის სოციალისტური განაწილება შრომის მიხედვით, გავაუმჯობესოთ კონტროლი და აღრიცხვა. ვ. ი. ლენინი ტყუილად როდი ამბობდა, სოციალიზმი — ეს უწინარეს ყოვლისა აღრიცხვააო.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ მოძრაობას, რომელიც ახლა, სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში ჩაღდება. მხედველობაში მაქვს რესპუბლიკაში დაწყებული სერიოზული კამპანია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი კონტროლის უზრუნველყოფისათვის. ეს კი ხელს უწყობს იმ ზნეობრივი პრინციპის განხორციელებას, როგორიც სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ვალდებულებისა და დანაპირების შესრულებისათვის პასუხისმგებლობაა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის პრობლემას. ჩვენი მაღაზიების თაროები თითქოს ცარიელი არ არის, მაგრამ ხალხის კეთილდღეობა და მაშასადამე, მისი მოთხოვნილებანი უფრო სწრაფად იზრდება, ხოლო ადამიანები — რა თქმა უნდა, ყველანი არა, მხოლოდ ისინი, ვინც მორალურად მაინცდამაინც აზიზი არ არის, — სარგებლობენ სპეკულანტთა სამსახურით, და ხშირად ნივთები, მომსახურეობა დეფიციტის პირობებში კარგავს თავის ფუნქციურ დანიშნულებას ადამიანთა თვალში, საზოგადოებრივი პრესტიჟის მაჩვენებელი ხდება. ეკონომიკური პრობლემა ზნეობრივი ასპექტით გვევლინება. და ეს ეხება არა მარტო პროდუქციის ხარისხს, არამედ აგრეთვე მომსახურების ხარისხსაც. ის კი არა, მე ვიტყოდი, ადამიანის ურთიერთობათა ხარისხს.

ანდა ავიღოთ სამმართველო საქმიანობის ხარისხი. არაკომპეტენტური მუშაკები გარდაუვალად, ნებსით თუ უნებლიედ ამოცანისადმი საქმიან მიდგომას ცვლიან საქმოსნობით, დემაგოგიით, ფრაზიორობით. იკარგება განსხვავება რეკომენდაციასა და პროტექციას შორის, შრომითს კოლექტივებში არასრული ინფორმირება ნაირნაირ ჭორებს წარმოშობს.

ასე, მხოლოდ ჩვეულებრივი სამსახურებრივი არაკომპეტენტურობის ნიადაგზე, შეიძლება აღმოცენდეს ბოროტების ისეთი ნაყოფი, როგორიც ბიუროკრატიზმი, მლიქვნელობა, მაამებლობა, კარიერიზმი, ძმაბიჭობა და მექრთამეობაა. რა არის ეს, თუ არა ადამიანთა შეგნებაში შემორჩენილი წარსულის გადმონაშთები? სოციალიზმის საკუთარი საფუძველი ასეთ ფსიქოლოგიას ვერ წარმოშობს.

— მაშასადამე, სოციალიზმის განვითარების ობიექტური პროცესი ჩვენ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ბუნებრივად აღმოიფხვრება ადამიანის ცუდი თვისებები? ახლანდელ ეტაპზე საკმაოდ წარმატებით წყდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისა და სოციალიზმის უპირატესობათა შერწყმის ამოცანა. ავიღოთ თუნდაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორი უკანასკნელი დადგენილება: სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა აღმოფხვრის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ხასიათის ბევრ წინააღმდეგობას...

— და არა მარტო მათ. ამ დადგენილებათა დედაარსი და სულისკვეთება ითვალისწინებს აგრეთვე მუშაობის მოძველებული, ჩვეული მეთოდებისადმი ფსიქოლოგიური მიდრეკილების დაძლევას, გადაწყვეტილებათა შესრულების ბიუროკრატიული ოინებით შეცვლის წინააღმდეგ ბრძოლას.

გარდა ამისა, შემთხვევითი როდია, რომ ხსენებულ დადგენილებებთან თითქმის ერთდროულად მივიღეთ კიდევ ერთი — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. პარტია მუდამ ცდილობს კომპლექსურად გადაჭრას სამეურნეო და იდეოლოგიური პრობლემები.

და მაინც, ვერას გავხდებით, ახალი ადამიანის აღსაზრდელად აქტიური მუშაობა თუ არ გავწიეთ, რამეთუ ამ მუშაობას ვერ შეცვლის ვერც თვით სოციალიზმის განვითარების ობიექტური პროცესი და ვერც ყველაზე კარგი დოკუმენტები.

როგორც ამას წინათ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ბრძანა, ჩვენ გვაქვს რთული ამოცანების გადაწყვეტის მრავალი წლის პრაქტიკით შემოწმებული გზა: „ეს არის მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება“.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შედეგებსა და მისი გადაწყვეტილებების შესრულებას მიეძღვნა, ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენთვის, საერთოდ მომავალი ათწლეული უნდა გახდეს იმ პროგრამის რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი, რომლის მიზანი ის არის, რომ დავძლიოთ საშუალო საკავშირო დონისაგან საქართველოს ჩამორჩენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების მიხედვით. ამ გზაზე გადამწყვეტი ეტაპი უნდა გახდეს მეთერთმეტე ხუთწლედი.

ესოდენ პასუხსაგები ამოცანის რეალიზაცია მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ მომავალ პერსპექტივაში ფართო სოციალური პროგრამის შემუშავება-განხორციელებას. საქმე ეხება ჩვენი გეგმების სოციალური მიმართულების შემდგომ გაძლიერებას, მათს ორიენტირებას საბოლოო შედეგების, ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების მისაღწევად.

მაგრამ მატერიალური დოვლათის ზრდა მხოლოდ მაშინ გვაძლევს საგრძნობ შედეგებს და მხოლოდ მაშინ იძენს სოციალურ მნიშვნელობას, როცა მიმდინარეობს ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის თანამიმდევრული დამკვიდრების ფონზე, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ადამიანთა სულიერ განვითარებაზე.

— პატივცემულო ედუარდ, თქვენ ხშირად ხვდებით ხოლმე მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას უკავშირებთ გარკვეულ იმედებს ცხოვრების წესის სრულყოფაში წარმატების მისაღწევად?

— დიახაც რომ, ფრიად დიდ იმედებს ვუკავშირებ. ეს იმედები მართლდება. უფრო მეტიც, კერძომესაკუთრული ტენდენციების, უზნეობის წინააღმდეგ პროტესტი, იდეალების სიწმინდისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უანგარო მებრძოლთა სახეები ქართულ ლიტერატურასა და კინოში გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე დადგებოდა ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წელი, წელი, საიდანაც დაიწყო სწორედ, არსებითად ჩვენში მიზანმიმართული მორალურ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. კიდევ უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: მწერლებს, მათგან საუკეთესოებს, რა თქმა უნდა, არასდროს არ უღალატიათ იმ მაღალი იდეალებისათვის, რომლებიც მუდამ იყო ლიტერატურაში, ერის კულტურაში. ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ ბრძანა სულმნათმა რუსთაველმა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“.

— და ეს მარტო ქართველებმა როდი ირწმუნეს. ისევე, როგორც ირწმუნეს არა ა. ვოზნესენსკის „ბაზრის რაინდები“, არამედ, ო. იოსელიანის „გიორგობისთვე“, ფილმი, რომელშიც პირველად აჟღერდა მწვავედ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის თემა. წიგნებისა სჯეროდათ. მაგალითად, გ. ფანჯიკიძის ნაწარმოებებისა, რომლის ერთ-ერთ რომანსაც ჰქვია „თვალი პატიოსანი“. ერთობ სიმბოლური სახელწოდებაა.

ანდა, აიღეთ ნოდარ დუმბაძის უკანასკნელი წიგნები მისი ესოდენ უბრალო და ესოდენ უტყუარი მარადისობის კანონით: „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ, და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავვობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“.

— მწერლები მუდამ ისწრაფვოდნენ ადამიანური სიკეთის უსასრულობის მხატვრულ ასახვას. მაგრამ მხოლოდ ჩვენს დროში აშენდა მეცნიერულ საფუძველზე ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება. და ეს საფუძველი დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით: „თითოეულის თავისუფალი განვითარება — ეს არის ყველას თავისუფალი განვითარების პირობა“.

— იყო შეცდომები, იყო დამახინჯებანი, იყო სხვათა ბოროტი ცდებიც — ხელი შეეშალათ სოციალისტური მშენებლობისათვის. მაგრამ, როგორც ქართულ ხალხურ სიმღერაშია ნათქვამი, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

— მაინც, რა საკვირველია: ასეთივე სიტყვებით ამთავრებს თავის ამასწინანდელ „წერილებს ყოველივე იმაზე, რაც რუსულია“ დ. ს. ლიხაჩოვი. თითქოსდა პარადოქსია — რუსულობის შესახებ ესეის ქართული ფოლკლორის აფორიზმი აგვირგვინებს!

— ვინ იცის, იქნებ აქ არა იმდენად პარადოქსულობაა, რამდენადაც ჰარმონიულობა, როცა თავისი ხალხის ეროვნულ ნიშან-თვისებებზე ფიქრობს, ინტელიგენტური მკვლევარი გარდაუვალად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ენის, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების თავისებურებებისა და თავისთავადობის მიუხედავად, თითოეულ ერს ახასიათებს მისწრაფება სიკეთისადმი, აღმშენებლობისადმი, კეთილმეზობლობისადმი, ახასიათებს სხვა კულტურებისადმი პატივისცემა და ინტერესი.

ხალხის, ერის ყოველგვარ მისწრაფებას კარჩაკეტილობისა და განცალკევებისადმი, ჩვეულებრივ შედეგად მოსდევს ჩამორჩენილობა, პროვინციალიზმი. ამიტომ, ჩვენი ცხოვრების კანონია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის აყვავება და დაახლოება. მე მჯერა, რომ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, ყოველივე მოტმასნილისაგან განწმენდისათვის ბრძოლა ხელს უწყობს ხალხის, ერის, რესპუბლიკის ავტორიტეტისა და პატივისცემის ამაღლებას, მოწმობს მათს ძალასა და სიჯანსაღეს.

და თუ საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებმა შეძლეს მოკლე ვადაში მიეღწიათ დიდი წარმატებებისათვის ეკონომიკის განმტკიცებაში, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში, ეს შეძლეს მხოლოდ ჩვენი კავშირის ყველა ხალხის მხარდაჭერის წყალობით, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის დახმარების მეოხებით.

რესპუბლიკაში ცხოვრების წესის სრულყოფისათვის ჩვენი მუშაობის ახლანდელი მოწონება, ქართველ კომუნისტთა გამოცდილებისადმი ინტერესი იმედიანად განგვაწყობს, რომ კვლავაც მოვიპოვებთ წარმატებას.

— ნება მიბოძეთ, მეც გისურვოთ ეს წარმატება ძველი ქართული სიმღერის სიტყვებით:

„ბევრი ვხნათ და ბევრი ვთესოთ,
ჭირნახული უხვად იყოს,
თქვენს ოჯახში, თქვენს მარნებში
ვერ ატევდეთ პურს და ღვინოს“.

საუბარი მიჰყავდა ა. ბრიგოს.

„ლიტერატურნაია გაზეტა“, 1980 წლის 17 სექტემბერი.

მწერალი და ცხოვრება

ვინა თქვა შენი დალევა...

გიორგი ნატროშვილი

ჩვენს მიმდინარე, ხან შფოთითა და მღელვარებით სავსე, ხანაც ჩაწყნარებულ ცხოვრებაში, ჩვენი ყოველდღიურობის დაძაბულ და დაუცხრომელ რიტმსა და საქმიანობაში, გამოერევა ხოლმე დღეები, რომლებიც იმსახურებენ იმას, რომ დარჩნენ ხალხის ხსოვნაში, როგორც ისტორიული თარიღები. ამ დღეთა რიცხვს ეკუთვნის თორმეტი სექტემბერი 1975 წლისა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმის ტრიბუნიდან, მთელი ქვეყნის გასაგონად, გაისმა სიტყვები: საქართველო არ არის მარტო მეჩაიეობის რესპუბლიკა, არ არის მარტო მეციტრუსეობის რეგიონი, არ არის მარტო ვაზის ქვეყანა, ის ხდება და უეჭველად გახდება თანამედროვე მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა.

პარტიის ამ მოწოდების მნიშვნელობა რომ ბოლომდე შევიცნოთ და გავითვალისწინოთ, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროისათვის არც ისე ცოტანი იყვნენ ურწმუნონი და სკეპტიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს ჩვენი საქმე აღარ არის, რომ საქართველოსთვის — სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ქვეყნისათვის, სპეციფიკური აღარ არის მეცხოველეობა; ეს წარსულია, დავეხსნათ, აღარ გვინდაო; საჭირო იყო მორალური დაძლევა ამ განწყობილებებისა, და ხალხმა თითქოს გულით იგრძნო, ხმა შეუწყო, ხმა შეუერთა პარტიის მოწოდებას. და წარმოიდგინეთ, ამ ამბავმა ხალხურ პოეზიაშიც ჰპოვა გამოხატულება. ჩვენს წინაშეა ლექსი, და თუმცა ავტორის სახელი, როგორც ფოლკლორისათვის არის ჩვეული, არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ აქ გამოიხატა ქართველი ხალხის უგულითადესი მისწრაფება და თანაც პასუხი იმ სკეპტიციზმისადმი; ამ ლექსში ნათქვამია:

ვინა თქვა, ენა გამხმარმა,
გამოლეულა ცხვარიო,
შირაქი ხელში უჭირავს,
ვერ გადაწვდინე თვალიო;
ვინა თქვა შენი დალევა,
გამთეთრებელო მთისაო,
პატრონის გამლაღებელო,
გამჯავრებელო მტრისაო.

რაოდენი გულდაწყვეტაა აქ და თან იმედის ხმაც ისმის; ეს ხალხის ხმაა, ეს საქართველოს ხმაა, იმედჩაუქრობლის, მხნე და გაუტეხელი ხალხისა, რომელიც მუდამ შემართულია, და თუ ცხოვრება მართლაც ბრძოლაა, როგორც ამბობენ, ამ ბრძოლის ველზე ქართველი კაცი არც ერთ უბანს, არც ერთ სანგარს არ დასთმობს — არც მთას დასთმობს და არც ცხვარს, უცნობი მთქმელი ლექსით რომ მიმართავს — ვინ გაბედა და ვინა თქვა შენი დალევა და გაქრობაო, ასეთი გულის ხალხი ყველა საქმეს მოერევა, ხოლო გულგატეხილებს, შეეჭვებულებს, სკეპტიკოსებს, მხდალებს არასოდეს ხეირიანი რამ არ გამოსვლიათ ხელიდან; მაშასადამე, ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა აქ იყო და არის მორალური და ფსიქოლოგიური ფაქტორი. ამიტომ აღინიშნა მეთვრამეტე პლენუმზე, რომ ვიდრე დღის წესრიგში ასე აქტუალურად დავაყენებდით ამ დიდ ამოცანას, „აქტიურად ვსწავლობდით ამ პრობლემას, ვსწავლობდით კადრებს, იმ მუშაკებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა, მორალურად და ფსიქოლოგიურად ვამზადებდით ხელმძღვანელ მუშაკებს, განსაკუთრებით პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს უფრო მტკიცე იერიშისათვის“.

ადამიანების ამ მორალურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, ამ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნაზე დიდად არის დამოკიდებული მატერიალური დოვლათის შექმნის პრობლემა. ჩვენ პირველი კლასიდან მიჩვეული ვიყავით იმის გამეორებასა და გაზეპირებას — ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებასო, ეს მარქსიზმის ანბანაა იყო, მაგრამ ხშირად გვავიწყდებოდა, რომ სული განაგებს მატერიას, თუმცა ესეც მარქსიზმის ანბანაა. მთელი ეს გაბედული „რევოლუციური ნახტომი, რევოლუციური პროცესი“, ეს „საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა“, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოაცხადა, — ამ სულიერი, ფსიქოლოგიური ფაქტორის ჩარევის გარეშე არ მოხდება და, მაშასადამე, აქ გადამწყვეტი როლი ხალხის სულიერმა მზადყოფნამ, ფსიქოლოგიურმა შემართებამ უნდა შეასრულოს. ნურავინ იფიქრებს, აქაოდა, ახლა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაა და ყველაფერს მანქანები გადასწყვეტენო; არა, ყველაფერი ისევ ადამიანის საქმემ და ოცნებამ უნდა გადაწყვიტოს. ფსიქოლოგიურ კლიმატზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა გავიხსენოთ ტრადიცია, გავიხსენოთ როგორ უყვარდა პირუტყვი ქართველ გლეხკაცს, და, თუ სადმე გაწყვეტილია, თუ სადმე დაკარგულია ის ინტიმი, რომელიც იყო ისტორიულად კაცსა და მის მარჩენალ პირუტყვს შორის, უნდა აღდგეს, უნდა გამთელდეს ეს გაწყვეტილი ძაფი. ახალ ტექნიკას, ახალ საუკეთესო მანქანებს, აპარატებს, მექანიზმებს, რომლებიც საქონლის კეთილმოწყობილ სადგომებშია გამართული, უნდა დაემატოს ერთი ძალიან პატარა და ძალიან დიდი რამ — ესაა გრძნობა, ესაა სიყვარული, მოფერება, მოალერსება, როგორც ეფერებოდა და ეალერსებოდა საქონელს ჩვენი წინაპარი. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყოველ სუფრაზე პირველ სადღეგრძელოდ ეს ითქმოდა: — გაუმარჯოს დედაკაცის ნამუსს, ხარის ქედსა და ვაჟკაცის მარჯვენასო.

და მართლაც, ვაზზე ნაკლებ როდი უყვარდათ საქართველოში ფური და ხბო, ოჯახის წევრივით იყო, ბავშვების სიხარული იყო, და დიდ ცოდვად ითვლებოდა პირუტყვისათვის თავში სახრის დარტყმა — უხსოვარ დროიდან მოდის ეს ტრადიცია — ჯერ ისევ ზარათუშტრას ჰიმნებში ხარი შებღაოდა ზეცას, უფალს, შესჩიოდა ბოროტი კაცის უდიერობაზე: „ის ურჯულო გუთნის დედა ქვეშ-ქვეშ გამოიყურება, იმას არ ეტყვის მეხრესა უდიერობა არ იქნება“, ათქმევინებდა პოეტი ლაბასა თუ ჭონქას, და კეთილი ანგელოსიც ხარის რქაზე სანთელს ანთებდა.

ქართულ სოფელში ბავშვებს ფეხის ადგმიდან მოსდევდა პირუტყვის სიყვარული და ეს იყო ის ცხოველმყოფელი გრძნობა, რომელსაც დღეს ბუნების დაცვასა და ბუნებისადმი სიყვარულს ვეძახით და ამ გრძნობის გასაღვიძებლად და გასაძლიერებლად მთელ ვეება დაწესებულებებსა და კომიტეტებს ვაარსებთ. ვინა თქვა მოკვდაო ეს გრძნობა? სრულიადაც არა; გურჯაანის რაიონში, ერთ სოფელში შარშან საოცრად გულისშემძვრელ ამბავს გადავაწყდი — საკოლმეურნეო ფერმაში მწველავ ქალებს ისე შეეყვარდათ მათზე გაპიროვნებული ძროხები, რომ ყველამ თავის ფურს თავისივე სახელი დაარქვა — ლამარამ — ლამარა დაუძახა, მაიამ — მაიკო, რუსუდანმა — რუსიკო, ქეთევანმა — ქეთინო და ა. შ. ლამაზი ასოებით დაწერეს ეს სახელები და ფურების სადგომებთან დაამაგრეს. თურმე იმ დღეს ამ ამბავს არ ესწრებოდა ერთი ქალიშვილი, სახელად ვალია და მეორე დღეს ფერმაში რომ მივიდა, წაიკითხა წარწერა, რომ თურმე მისი ფური მისივე სახელის ყოფილა, გაბრაზებულმა ჩამოგლიჯა და გადააგდო წარწერა — ღმერთო კი მომკალი, ეგღა მაკლია ჩემი სახელი ვიღაცა პირუტყვს ერქვასო! თურმე ვალიას ფერმაში მუშაობა სულაც არ აინტერესებდა და მას მხოლოდ დიპლომისათვის წარსადგენი ცნობა უნდოდა. მისი დობილები კი ამით მხოლოდ თავიანთ სიყვარულს ამჟღავნებდნენ, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ ის სიყვარული ჩქარა იქცეოდა რძედ, ბარაქად, სიმდიდრედ, ბავშვების სიხარულად, სახალხო დოვლათად, ვინაიდან როგორც გალაკტიონი ამბობს, „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ“.

თუ მართლა ასეა, თუ უსიყვარულოდ ნიავიც კი ვერ შესძლებს ქროლვას, თუ უიმისოდ ხის ფოთოლიც კი ვერ გაიშრიალებს — მაშინ რამდენი შესძლებია ცოცხალ კაცს, მის მოსიყვარულე გულს, რაოდენ უსაზღვრო და დამტევი ყოფილა იგი და ვინ იცის იქნებ წრფელგადასული მისტიკური სიყვარული იყო სათავე იმ სიბრძნისა, რომელიც ჰქონდა მეცხვარეობაში უიშვიათესი პროფესიის ადამიანს, რომელსაც მცნობს ან მცნობარს უწოდებენ და რომელიც უაღრესად საჭიროა გახურებული დოლის დროს, ვინაიდან შეუცდომლად, რაღაც აუხსნელი გუმანით ხვდება ათას ცხვარ-ბატკანში რომელი რომლის შვილია და იმ წამსვე აიყვანს და მიჰგვრის დედას ახალდაბადებულ ბატკანს; ბუნების ამ ჯადოსნურ ნიჭს ცივილიზაცია ნელ-ნელა აქრობს, მაგრამ ისინი აუცილებელნი არიან დღესაც და მუდამ საჭირონი იქნებიან.

ნება მომეცით ორიოდე სიტყვით გავიხსენო ისინი, უპირველესად ჩემი თანასოფლელები, ზემო მაჩხაანელები; იყო ერთი ბრძენი მცნობარი — მოსე იაკობიშვილი. როცა მას შეუქეს კოლმეურნეობის პირუტყვის სანიმუშო მოვლა-მოშენება და კარგი ნამატის შენარჩუნება, მან თქვა: — ნუ გიკვირთ, მე თუ საქონელს ხელი დავადე, ის არ მოკვდებაო. და ეს არ იყო კვეხნა — მოსე ძალზე მორიდებული და თავმდაბალი კაცი იყო, მაგრამ მის ხელში პირუტყვის დაცემა ან გაბერწება წარმოუდგენელი იყო. ასევე ჰქონდა სახელი განთქმული მთელ შირაქსა და თრიალეთში მეორე ბრძენ მცნობარს — ივანე ჯანაშვილს. აბა პირუტყვის სიყვარული თუ ვინმეს სცოდნია ქვეყანაზე, ივანემ იცოდა, რას არ სჩადიოდა, რას არ იგონებდა, რომ გაელამაზებინა მკაცრი და მძიმე ყოფა მეცხვარისა, ადამიანისათვის სახალისოდ გაეხადა იგი, საქმისათვის სიყვარული დაემატებინა. იორზე, ჩათმაში დოლი რომ დაიწყებოდა, მაშინ უნდა გენახათ ივანეს სიხარული — საბატკნეში საახალწლო ნაძვის ხე ჰქონდა მოწყობილი — საბავშვო ბაღიაო. დააწყობდა დაპრესილი თივის კონებს და დახტოდნენ ზედ ბატკნები, მათ ხომ ასე უყვართ ხტუნვა და იყო ფერმაში ერთი ზარ-ზეიმი, ერთი აუწერელი პეტელი და ყრიამული, რაც ცოტათი მაინც აადვილებდა, თითქოს აიოლებდა მწყემსის, რა დასამალია, საკმაოდ ძნელ პროფესიას.

არ შემიძლია არ გავიხსენო ლადნია ლევანა, ამ მეტსახელით იცნობდა მას ყველა, გვარად ნატროშვილი იყო. ერთხელ ივრის საზამთრო საძოვრებიდან თრიალეთზე რომ მიდიოდნენ, გარეკახეთის რომელიღაც სოფელთან ახალგაზრდა მწყემსმა ნაგვიანევი, გზაში დაბადებული ბატკანი მოუყვანა — რა ვუყოო. ლევანამ მარტო ერთხელ შეხედა ახალდაბადებულს და ბიჭს უთხრა — ჯერ სიარული არ შეუძლია და ჩასვი ხურჯინშიო. ბიჭმა ბატკანი ჩასვა ხურჯინში, რომელიც სახედარს ეკიდა. არავინ იცის რა მოხდა და იმ საღამოს ბატკანი ხურჯინში აღარ იჯდა. ჩაიქნიეს ხელი და დაივიწყეს. გავიდა ერთი წელი და ისევ იმ გზაზე რომ ჩაატარა ლევანამ ფარა, დაინახა, რომ ვიღაც ბერიკაცს ხელზე შეჩვეული ცხვარი მისდევს უკან, ქოხმენს, რომ ეძახიან. ლევანამ დაინახა თუ არა, გასძახა იმ კაცს — „თუ კაცი ხარ, მითხარი, ეგ ცხვარი სად იპოვნეო“. „შენ რა იცი, რომ ვიპოვნე, ჩემი გაზრდილიაო“, უთხრა იმ კაცმა. „შენი გაზრდილი რომ არის, ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ახალდაბადებული იპოვეო“. ასე იცნო ლევანამ ერთი წლის შემდეგ ერთხელ დანახული თოთო ბატკანი,. უკვე ჭედილად ქცეული. მას შეეძლო პირველად დანახულ, სრულიად უცნობ ათას სულიან ფარაში ყველა ბატკნისათვის მოენახა დედა — ჩვეულებრივ ხომ ისინი არეულები არიან ერთმანეთში, დარბიან, ბღავიან და ეძებენ ერთიმეორეს.

ახლანდელი მცნობარებიდან მინდა გამოვყო ზემო მაჩხაანელი თავჩობანი ნოდარ ჯანაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა მოწვევის დეპუტატი; მან ჯერ ისევ ახალგაზრდობაში გამოიჩინა ეს საოცარი ნიჭი, უნარი თუ გუმანი, აღარ ვიცი რა დავარქვა.

ასეთი სახელოვანი მეცხოველეებით მოფენილია მთელი საქართველო. წარმატებით იბრძვიან ახმეტაში ნაზო პეტრიაშვილი, აბაშაში — ევტიხი თურქია, ზუგდიდის რაიონში — ელზა თოდუა, გურჯაანში — ირადო მაზანაშვილი და მოხუცი მწყემსი ბეჟუაშვილი, მათივე მეზობელია მეფრინველე ელენე ჯავახიშვილი, რომელიც 7.000 წიწილას უვლის. მათ მხარში უდგანან მოძმე ხალხთა შვილები — რუსი თამარ ულეზკო, სომეხი — ანა ტარზიანი, აზერბაიჯანელი ზოჰრა მამედოვი, ოსი ნინო ხუბაევა და ბევრი სხვა.

დავუბრუნდეთ ისევ მცნობარის სასწაულებრივ ხელობას და ვიკითხოთ როდინდელია ეს ტრადიცია. იგი უხსოვარი დროიდან მოდის, მას საუკუნეების ისტორია აქვს და, სამწუხაროდ, დღემდე ვერცერთმა მწერალმა, ვერცერთმა მეცნიერმა ვერ შეძლო უბრალოდ მაინც აეწერა მათი პროფესია, მათი საქმე, მათი უნარი და, არ მეშინია ამის თქმისა — მათი დიდი ხელოვნება და დიდოსტატობა, ქართველი კაცის შემოქმედებითი გენიაზე რომ მეტყველებს.

ცხადია, ჩვენი მეცხოველეები ამ სახელოვანი წინაპრების, ამ დიდოსტატების ღირსეული შთამომავალნი, ღირსეული მემკვიდრენი არიან. ისინი პირნათლად ასრულებენ და კვლავაც შეასრულებენ წინაპართა ანდერძსაც და პარტიის დავალებასაც.

საპატიო სიგელი, რომელიც საქართველოს მეცხოველეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიიღეს, პირველი მოგებული ბრძოლაა იმ საერთო სახალხო ლაშქრობისა, რომელიც დაიწყო ხუთი წლის წინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმზე, რომელმაც აღუთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საქართველოს კომუნისტები პირნათლად შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ ამოცანებს და საქართველოს გადააქცევენ მოწინავე მეცხოველეობის რესპუბლიკადაც. ამ საპატიო სიგელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ აღთქმის, ამ დანაპირების ისტორიული მნიშვნელობა.

ავიცენას დაბადებიდან 1000 წლისთავისათვის



დიდი მოაზროვნე და ჰუმანისტი

იუნესკოს გადაწყვეტილებით წელს მთელი ცივილიზებული მსოფლიო დაბადების 1000 წლის იუბილეს უხდის ძველი აღმოსავლეთის დიდ მოაზროვნესა და ჰუმანისტს აბუ ალი იბნ სინას ანუ ავიცენას, როგორც მას ძველთაგანვე უწოდებდნენ ევროპაში.

დიდი მოაზროვნის სახელი სამუდამოდაა შესული მსოფლიო კულტურის ისტორიაში; მისმა მეცნიერულმა და ფილოსოფიურმა ნააზრევმა გარკვეული გავლენა მოახდინა მთელ შემდეგდროინდელ მსოფლიო კულტურის განვითარებაზე.

ავიცენას იუბილე განსაკუთრებით ფართოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში; მოსკოვსა, ტაშკენტსა და დუშანბეში. ტაჯიკეთსა და უზბეკეთში შედგება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, რათა კიდევ ერთხელ ცხადი გახდეს ის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რაც დიდმა მოაზროვნემ დაგვიტოვა. გამოვა ავიცენას მთელი რიგი ნაწარმოებები, მასზე დაწერილი მონოგრაფიები. გამომცემლობა „ნაუკამ“ უკვე გამოსცა მისი რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გამოდის იბნ სინას ლექსთა კრებული. გამომცემლობა „კნიგამ“ საბეჭდად მოამზადა მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური ტრაქტატები, გამომცემლობა „მისლმა“ კი მონოგრაფია, რომელიც გამოვა სერიით — „წარსულის მოაზროვნენი“. ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ და ტაჯიკურ ენებზე გამოსაცემად მოამზადა ავიცენას რჩეული ნაწარმოებები 10 ტომად. უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემია გამოსცემს მის „საექიმო მეცნიერების კანონს“.

ავიცენას მეცნიერული მემკვიდრეობა მოიცავს ცოდნის თითქმის ყველა დარგსა და სფეროს, ხოლო მისი პოეტური სიტყვა ჰუმანიზმისა და საკაცობრიო იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ნათელი დასტურია. მისი შემოქმედების მოტივებით დიდხანს საზრდოობდა ძველი აღმოსავლეთის მწერლობა, ხოლო დასავლეთში კი ამ მოტივთა გამოძახილს ყველაზე ცხადად დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ პოულობენ.

განსაკუთრებით დიდია ავიცენას დამსახურება მედიცინის განვითარებაში. შუასაუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში იბნ სინას სახელი გალენის და ჰიპოკრატეს სახელებთან იხსენიება. მისი სამედიცინო ნააზრევი მთლიანად მოიცავს და აჯამებს იმდროინდელი ბერძნული, ინდური და ირანულ-არაბული მედიცინის მიღწევებს. მისი „საექიმო მეცნიერების კანონი“ ჯერ კიდევ XII საუკუნეში გადაითარგმნა ლათინურად და მთელი ხუთი საუკუნის მანძილზე ევროპელ ექიმთა სამაგიდო წიგნი იყო.

ავიცენას უმდიდრეს მემკვიდრეობას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მისი ნააზრევი განმსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით, სოციალური თანასწორობისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეებით, რომლებიც ყოველთვის გზას უნათებდნენ და კვლავაც გაუნათებენ პროგრესისაკენ მიმავალ კაცობრიობას.

დიდი პოეტის საიუბილეოდ

დავით გურამიშვილი

შენიშვნები და პარალელები

სარგის ცაიშვილი



ძველ საქართველოს არ ჰყოლია რუსთაველის შემდეგ ისეთი დიდი პოეტი, როგორც დავით გურამიშვილია. მისი ცხოვრება-შემოქმედება ემთხვევა ეპოქას, როცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა, ხოლო ქართველ მოღვაწეთა დასი, რომლის ერთი გამოჩენილი წევრიც იყო დავით გურამიშვილი, გადარჩენის გზას ეძიებდა. ასეთ დროს ოდნავი მოდუნებაც კი ეროვნულ გადაგვარებასა და კატასტროფას უდრიდა.

ქართველმა ხალხმა თავის თავში აღმოაჩინა ძალა, რათა საბოლოო განადგურებისაგან გადაერჩინა საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ძველი და თვითმყოფი კულტურა.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ მღელვარე ეპოქის ღვიძლი შვილია, ~~ხოლო~~ მის პოეზიაში, როგორც პრიზმაში, წარმოსახულია გზაჯვარედინზე მდგომი ქვეყნის გაუტეხელი სული. ტრაგიკულ განცდასთან ერთად, რომელიც ასეთ სიმძაფრეს ანიჭებს მის პოეზიას, იგი იმედიანად უმზერდა მომავალს, ეძიებდა მშობლიური ქვეყნის გადარჩენის „სინათლის სხივს“ (ეს ერთი ყველაზე საყვარელი მეტაფორაა მის პოეზიაში).

ვერც სამკვიდროდან მოწყვეტამ, ვერც პირადმა ტრაგედიამ, რომელიც აგრერიგად იყო გადაჯაჭვული ქართველი ხალხის ბედთან, ვერ შეარყია და გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა ადამიანთა მოდგმის უკვდავებისა და გაგვიმჟღავნა კიდეც იგი „დავითიანის“ უჭკნობ სტრიქონებში.

ქვემოთ, რასაკვირველია, ძირითად შტრიხებში საუბარია პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, წარმოდგენილია ზოგი შენიშვნა თუ ლიტერატურული პარალელი.

ეს დაკვირვებები ფაქტიურად შეადგენს ჩემი მონოგრაფიის რამდენიმე მომცრო ნაწყვეტს, (ვრცელი მონაკვეთი იბეჭდება ჟურნალ „მნათობში“, სადაც წარმოდგენილია ნარკვევი გურამიშვილის პოეზიის თავისებურებებზე), ხოლო ცალკე წიგნად იგი, ალბათ, 1981-1982 წლებში გამოქვეყნდება.

1. „სუხავის ჯარი მან შექმნა, ვით ისომ ამალეკისა...“

გურამიშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ხან მარტოდ შთენილი, ღრმა რელიგიური განწყობილებებით დატვირთული ადამიანია, ხან კი „ქართლის ჭირზე“ მწარედ დაფიქრებული პიროვნება, რომელიც მთელი არსებითაა შეძრული თავისი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედიის გამო. „დავითიანში“ პიროვნული და საზოგადო ისე გაუთიშველად ერწყმის ერთმანეთს, რომ იგი აღიქმება როგორც ერთიანი, მონუმენტური მხატვრული ქმნილება, თუმცა რეალურად იგი სხვადასხვა თემატური რკალისა და სხვადასხვა დროს შექმნილ რამდენიმე პოემისა და ლექსთა ციკლებისაგან შედგება.

მხატვრული თუ თემატიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშკარად სპირიტუალისტური ძიებებით აღბეჭდილი ლექსების ერთი ნაწილი, რომელიც ავლენს პოეტის სისხლხორცეულ კავშირს ქართულ-ქრისტიანულ სასულიერო მწერლობასთან.

დღეს, საბედნიეროდ, აღარ ვდავობთ იმაზე, თუ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების გრძელ გზაზე რა განუზომლად დიდი როლი ითამაშა ქრისტიანულმა კულტურამ. ჩვენი ხალხის იდეოლოგია, რომელსაც რასაკვირველია, სხვა სულიერი ფაქტორებიც კვებავდა, წარმოუდგენელია ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებული ზნეობრივი თუ ეთიკური იდეალების ცხოველმყოფელი ნაკადის გარეშე. ისევე როგორც სხვაგან (აქ მეტწილად იგულისხმება დასავლური სამყარო) ქართული შუა საუკუნეებიც ქრისტიანული აღმსარებლობის ნიშნით ვითარდებოდა. მაგრამ აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოსავლური“ წარმოშობისა, ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველივე დღეებიდან არასოდეს გამრუდებულა ქართული კულტურის ე. წ. „დასავლური“ ორიენტაცია. ეს ცხადად ემჩნევა ქართულ შუა საუკუნეებში შექმნილ როგორც მატერიალურ, ისე სულიერი კულტურის ძეგლებს. ასეთი ფართო თვალსაწიერის გარეშე წარმოუდგენელია ისეთ ქმნილებათა აღმოცენება, როგორიცაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, ქართული კედლის მხატვრობა. რომელი ერთი უნდა გავიხსენოთ. „ქართული მზერა“, როგორც ამას იტყოდა დიდი პოეტი, უკვე ამ ხანებიდანვე თავისთავში ითავსებს ძველ, ანტიკურ ტრადიციებთან ერთად მშვენიერების იმ ახალ ეთიკურ საწყისებს, რომელიც ქრისტიანულ კულტურასთანაა დაკავშირებული, რაც ამასთან ჩვენი კულტურის ფართო სარბიელზე გასვლას გულისხმობდა.

დავით გურამიშვილი ქართული გვიანი შუა საუკუნეების ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია და ბუნებრივია, გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან.

მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას შემდეგი: ქრისტიანული იდეოლოგიის ზემოქმედება ერთგვაროვანი არ ყოფილა ეპოქათა ცვალებადობის შესაბამისად. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა და ეს ნათლად გამოვლინდა კიდეც როგორც V-XI საუკუნეებში, ისე ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში (XII-XIII საუკ.). ასევე დღეს დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ შემთხვევაში სასულიერო მწერლობის, კერძოდ კი, სასულიერო პოეზიის (ჰიმნოგრაფიის) ზემოქმედებამ ახალი ძალით იფეთქა ე. წ. აღორძინების ეპოქაში (XVII-XVIII ს. ს.). ღრმა რელიგიური განწყობილებები მძლავრი იდეოლოგიური ნაკადის სახით იჩენს თავს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (გავიხსენოთ ე. წ. „სოფლის მდურვის“ მოტივები და ა. შ.). გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ კრიზისთან ერთად ასეთ განწყობილებათა გაბატონებას ეროვნული კატასტროფის მუდმივ მიჯნაზე ყოფნაც აძლევდა ბიძგს.

გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსთაგან ზოგი ჩართულია „ქართლის ჭირის“ სხვადასხვა მონაკვეთებს შორის, რომელთაც პოეტი ხან მოთქმას, ხან კი გოდებას უწოდებს. ასეთი წიაღსვლებით პოეტი გარკვეულ აქცენტებს ანიჭებს პოემაში გადმოცემულ ისტორიულ მოვლენებს. ქართლისა თუ კახეთის აქ აღწერილი ძნელბედობა არ არის შემთხვევითი, სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია სულიერი თუ ზნეობრივი დაცემა. ავტორის აზრით, ადამიანმა დაივიწყა თავისი წმინდა მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

ამიტომ ჩერდება უთუოდ პოეტი ქრისტეს ჯვარცმის მისტერიაზე. გოლგოთის მისტერიის მარადიული თემით ავტორის განზრახვაა, რომ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენოს ზნეობრივი დაცემის სავალალო შედეგი, როცა მათ „ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო“. ხოლო სხვა ჰიმნებში სახეებით მიმართავს ხან სამების რომელიმე წევრს, ხან კი ღვთისმშობელს.

როგორც თვით „ქართლის ჭირში“, რომელშიც ამავე ეპოქის საქართველოს ისტორიულ ქრონიკებთან ერთად გადმოცემულია პოეტისავე ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები, ისევე მთელ „დავითიანში“ აქა-იქ მოთავსებულია ისეთი ხასიათის სასულიერო ჰიმნებიც, რომლებიც თვით ავტორის პირად განცდებს გამოხატავენ და თავისი აღნაგობით მედიტაციური წყობით არიან აღბეჭდილნი.

პოეტის მაღალ სასულიერო განათლებას ამხელს ისიც, რომ მას ღრმად აქვს ნაგრძნობი ძველისა და ახალი აღთქმის შინაგანი კავშირი, როგორც ეს პირველთაგან გაშიფრული ჰქონდათ ჯერ კიდევ ქრისტიანული ეკლესიის წმინდა მამებს (გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინე: „რაჲ არს ძველი აღთქმა, თუ არა დაფარვა (შენახვა) ახლისა, ხოლო რაჲ არს ახალი — თუ არა გამოცხადება ძველისა“). გურამიშვილი ასეთ გარდასახვას ხშირად გადმოგვცემს ბიბლიიდანვე აღებული სიმბოლოებით, პოეტურ ენაზე მიგვანიშნებს, თუ ვით გარდამოვიდა ძველი დღე (მამა ღმერთი) ახალ დღეში (ახალი დღე ძე ღვთისა — ქრისტეა), ხოლო სხვა ჰიმნებში დავით წინასწარმეტყველისა და ქრისტეს მიმართება წარმოსახულია ერთი ცხოვრების ხისაგან აღმოცენებულ შტოთა (მორჩთა) სიმბოლიკით, რითაც ასევე ძველი და ახალი აღთქმის ძირითად იდეათა უწყვეტობაა წარმოჩენილი.

პირველყოფილი ცოდვის, ადამიანური მიუსაფრობის და „ორგემაგე“ (ცვალებადი) სოფლისადმი მდურვის მოტივები მძლავრი ნაკადის სახითაა შეჭრილი გურამიშვილის პოეზიაში. ფანტასტიურია პოეტის მისტიური ხილვები, ამასთან ყველა მათგანი ღრმადორიგინალური მხატვრული აზროვნების ნაყოფია. პოეტი მეტწილ შემთხვევაში თავს აღწევს საუკუნეთა მანძილზე ტრაფარეტად ქცეულ ტრადიციულ სახეთა ტყვეობას ან მათ განსხვავებული მიზანდასახულობით იყენებს. იგი, ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე აგებს სასულიერო შინაარსის პოეტურ სათქმელს, რაც უნიკალური მოვლენაა აღნიშნული მიმართულების მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

მაგრამ ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სწორედ ქრისტიანული მსოფლშეგრძნების წიაღში აღმოცენებულმა კონცეფციებმა მიანიჭა მის სულიერ ძიებებს ზნეობრივი სიმაღლე, ხოლო პოეტურ შთაგონებას იდუმალების ნანატრი განცდა.

დავით გურამიშვილის ღრმა კავშირები როგორც ბიბლიურ წიგნებთან, ისე საერთოდ ქართულ სასულიერო მწერლობასთან ამ ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართველ მეცნიერთა საფუძვლიანი შესწავლის საგნად გადაიქცა, და ასეთი კვლევის სათავეში ისევ და ისევ სასულიერო მწერლობის უდიდესი მცოდნე კორნელი კეკელიძე დგას. სასიხარულოა, რომ ამ მიმართულებით კვლევა პოპულარული შეიქმნა ახალგაზრდა მკვლევართა შორისაც, ოღონდ ამასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მართლაც „საყმაწვილო სენივით“ გავრცელდა მიდრეკილება, ანალოგიურ საკითხებზე მსჯელობისას ისეთი არაქართველი მკვლევარების მოხმობა, რომლებმაც ბევრად გვიან მიაქციეს ყურადღება მხატვრული მეტყველების არქეტიპებს ქრისტიანულ მწერლობაში. უფრო მეტიც, რატომღაც, იმავე მკვლევართა აღმოჩენად ითვლება ქრისტიანულ მწერლობაში ადამიანის პრობლემის დამუშავება, თითქოს ჩვენს სინამდვილეში ამ თემას პირველთაგანმა არ მიუძღვნა მონოგრაფია ჩვენმა სახელოვანმა ივანე ჯავახიშვილმა.

გურამიშვილზე უკანასკნელ ხანებში შესრულებულ ნაშრომებსაც ეხება „განათლებულობის“ ეს უკუღმართი მოდა და ისევ დიდი პოეტის სიტყვებს მოვიშველიებ მათი მისამართით: „ის ჩვენ პურსა ნუღარ გვაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს“. მანამდე გაკეთებულის გათვალისწინება, შემდეგ ისევ შენს მიერვე მიკვლეული მხატვრული ფაქტების ანალიზი და განზოგადება არის ერთადერთი გზა, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვება სასურველი რეზულტატი მეცნიერულ კვლევაძიებაში.

ეს აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ჯერ კიდევ ნიკო მარმა, ხოლო შემდეგ სპეციალურად კორნელი კეკელიძემ წარმოაჩინეს ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი როლი ქართული საერო მწერლობის მხატვრული მეტყველების დახვეწა-განვითარებაში.

ასევე კორნელი კეკელიძემ დასვა საკითხი ქრისტიანული მწერლობისათვის ძირითადი მხატვრული ხერხის, კერძოდ, სიმბოლო-ალეგორიის უხვად გამოყენების შესახებ დავით გურამიშვილთან. მანვე ახსნა კიდეც ზოგიერთი მანამდე გაუგებარი ალეგორიული სახე, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ტექსტის მართებული გაგებისათვის.

გურამიშვილის ხილულსა თუ უხილავ კავშირზე ქართულ სასულიერო მწერლობასთან და კერძოდ, ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიასთან, სპეციალური ნაშრომები დაიწერა და ალბათ, მომავალშიც გამოქვეყნდება. წარმოჩენილია, ხოლო ეს არის მართლაც უმთავრესი, თვით პოეტის ინდივიდუალური წვლილი და სასულიერო მოტივების დამუშავების ძალზე ორიგინალური მეთოდები. მათ აქ არსებითად აღარ შევეხები, ოღონდ ვაჩვენებ რამდენიმე პარალელს, რომელიც კიდევ უფრო აშკარად ამხელს ქართული პოეზიის უწყვეტ ტრადიციებს საუკუნეთა მანძილზე. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

დავით გურამიშვილის ერთ სასულიერო შინაარსის ლექსში „უკვდავების წყაროს იგავის ახსნა“, რომელიც ჩართულია „ქართლის ჭირის“ პირველივე თავებში, „ღვთის სიტყვის“, ქრისტეს მოვლინების მიზეზი და ადამიანთა დახსნისათვის თავის დადებისა და უმაღლესი ზნეობის მარადიული მაგალითია განმარტებული. ხოლო ქვემოთ კი აღვლენილია ქებათაქება პირველმიზეზის სახელზე:

მას აქებენ: ანგელოზნი, ცა,
ქვეყანა, ბნელ, ნათელნი,
ზღვა, ხმელეთი, ხე ბალახნი,
მთა, ბორცვი, ტყე, ბაღნარ
ველნი...

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ X საუკუნის ბრწყინვალე ქართველი ჰიმნოგრაფის ცნობილი „ანდერძი იადგარისაჲ“, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

გუნდი იგი ზეცისანი შენ
წმიდასა წმიდათასა
განწყობითნი გიგალობენ!
მე უღირსი შეგივრდები, რათა
ვიყო მათ თანავე
შენგან უძაგ...

რასაკვირველია, აქ ზედმეტიცაა რაიმე უშუალო ზეგავლენაზე საუბარი, მაგრამ მთავარია ის, რომ ცნობილი ბიბლიური მოტივის დამუშავებისას სხვადასხვა ეპოქის ორივე ავტორი მხატვრული მეტყველების შემხვედრ ფენებს წარმოაჩენენ. ანალოგიური ვითარებაა აგრეთვე დავით გურამიშვილის ცნობილ მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის ჰიმნთან დაკავშირებით. პოეტის მხატვრული ფრაზა: „ვირემდეს განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი, იფქლი კალოზედ ეყარა განურჩეველი ბზიანი“, სადაც იგავური ენით გამოხატულია ახალი ცხოვრების მოლოდინი (ამ შემთხვევაში „ძე ღვთისას“), რათა ადამიანებს კეთილი განერჩიათ ბოროტისაგან, აშკარად ეხმაურება თუმცა განსხვავებული ადრესატის მქონე, მაგრამ ასეთსავე სიმბოლიკის გამოყენებით შესრულებულ იოანე მტბევარის ჰიმნს ბასილისადმი („ვითარცა ღრუბელმა აღმოივსე სოფლისა იგი ბრძენთა მეცნიერება და განარჩიე იფქლი ღვარძლისაგან და შეჰკრიბე საუნჯეთა“). ასევე არაერთ პარალელურ გამოთქმას ვპოვებთ გურამიშვილთან, რომლებიც დასტურდება ქართულ ჰიმნოგრაფიაში. (შდრ. მიქელ მოდრეკილი: „შეუხებელი, ქრისტე, მზეჲ სიმართლისა“, აგრეთვე „მზესა მას სიმართლისა გვითხრობს“. A — 144, იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი), მაგრამ ამასთან ცხადია ისიც, რომ მიუხედავად სახეთა გამოყენების ასეთი შეხვედრებისა, მათი თავდაპირველი წყაროების ძიებას ისევ და ისევ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან მივყავართ.

უფრო მეტიც, გურამიშვილი თავის მხრით ამდიდრებს და ახალი ცნებები შემოაქვს აღნიშნულ სიმბოლიურ სახეთა სალაროში. მაგალითად, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საფუძველზე ცხადი შეიქნა, რომ „დავითიანში“ ხშირად გამოყენებული მზეთა-მზის სახე, როგორც მამა ღმერთის, უფალთა-უფალი საბაოთის გამომხატველი, გურამიშვილმა პირველმა შემოიტანა სასულიერო ხასიათის ჰიმნებში. სასულიერო ჰიმნების მოდერნიზაციის გზაზე, როცა დიდმა პოეტმა უშურველად გაუღო კარი ხალხური მეტყველების ნაკადს, მან უეჭველად ეს სახეც ხალხურ პოეზიაში ანალოგიური მხატვრული გამოთქმების საფუძველზე შექმნა (ერთ ასეთ პირველწყაროდ თვით პოეტი ქართულ ფოლკლორში დადასტურებულ სახე-გამოთქმას „ქალთა მზეს“ ასახელებს).

ზემოთ უკვე არაერთგზის ითქვა, რომ გურამიშვილი სასულიერო მწერლობისა და კერძოდ, მისი საფუძველთა-საფუძვლის ძველი და ახალი აღთქმის უბადლო მცოდნე იყო და ეს კარგად ჩანს კიდეც მთელი „დავითიანის“ მანძილზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი „მხიარული ზაფხულის“ დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ბიბლიური სიუჟეტების ლექსად გადაღებას. ნაშრომში დავით გურამიშვილზე ჩვენ ადრე შევუდარეთ სათანადო ადგილები შესაქმეთა წიგნიდან ფსალმუნიდან და ირკვევა, რომ პოეტი რიგ შემთხვევაში, რასაკვირველია, საჭიროებისდა მიხედვით, პარაფრაზის სიზუსტით ამუშავებს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს. ცხადია, რომ მის ოჯახურ ბიბლიოთეკას შორეულ უკრაინაში, სხვა წიგნებთან ერთად (რომელთა კვალიც კარგად ჩანს მის ნაწერებში) ამშვენებდა ბიბლიური ტექსტები თუ გამოცემა, რომელიც მისივე „დავითიანში“ აგრე ხშირად ნახსენებ ბაქარ ბატონიშვილის სახელთანაა საბოლოოდ დაკავშირებული.

ამიტომ ჩვენ „დავითიანის“ ტექსტის სხვადასხვა ადგილის გაშიფრვისა თუ კომენტირების დროს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, გავითვალისწინოთ პოეტის მაღალი განსწავლულობა საერთოდ, კერძოდ, სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში. აქაც მხოლოდ ერთი მაგალითის მოტანით შემოვიფარგლებით.

„ქართლის ჭირის“ ერთ-ერთ ბოლო თავში პოეტი გვიამბობს: თამაზ-ხანმა (შემდგომში სახელგანთქმულმა ნადირ-შაჰმა) გადასწყვიტა, რომ რუსებისათვის, მათ შორის რუსეთში მყოფ ვახტანგ მეექვსისათვის, რომელიც ამ დროს სალაშქროდ ემზადებოდა, დაესწრო და დაერბია კასპიისპირეთი, შამა-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

დავით გურამიშვილი

ხია, აგრეთვე ლეკთა ქვეყანა, საერთოდ მთელი აღმოსავლეთი კავკასია, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. აღნიშნული თავის 508-ე სტროფში ნაწილობრივ სწორედ ამ ამბებზეა საუბარი:

„თამაზ-ხანს ესმა, ეოცა, იქმნა
მკბენელი ნეკისა,
სუხავის ჯარი მან შექმნა
ვით ისომ ამალეკისა,
ჯერ შამახია დალაშქრა,
ქვეყანა მოსპო ლეკისა,
კვლავ ხმა ასმინა განჯასა
ოსმალოს კართა რეკისა.

თამაზ-ხანი აქ, როგორც ითქვა, ნადირ-შაჰია, რომელიც გაცეცხლებული (იქმნა მკბენელი ნეკისა) დაიძრა ირანის ჩრდილოეთის მეზობლებისაკენ. სუხავი, როგორც ეს მართებულად აქვს განმარტებული ვარლამ დონდუას, ლეკების ამ დროისათვის აზრაგობით სახელმოხვეჭილი ბელადი სურხაიხანია. შამახია აქ იგივე დღევანდელი შემახაა (აზერბაიჯანის სსრ), ხოლო განჯა კი ასევე დღევანდელი აზერბაიჯანის ქ. კიროვაბადი, ხოლო საუბარია იმაზე, რომ ნადირ-შაჰის ეს საომარი ოპერაცია კავკასიაში ოსმალთა ბატონობის პრეტენზიასაც უპირებდა ალაგმვას.

აქ გასარკვევია ხაზგასმული გამოთქმა, მით უფრო რომ „დავითიანის“ 1955 წლის გამოცემაში, რომელსაც ერთვის კ. კეკელიძის კომენტარები, მასზე არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება „დავითიანის“ 1931 წლის გამოცემას, რომელსაც ახლავს ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საკუთარ სახელთა ცნობარი ვკითხულობთ: „ამალეკი—ბიბლიური ერი, რომელიც საულმა (იზრაელის მეფემ) დაამარცხა“. ეს ერთი შეხედვით მართლაც ასეა და როგორც ცნობილია, ბიბლიაში მოთხრობილია ეპიზოდი, როცა ღვთის ჩაგონებით წინასწარმეტყველი სამოელი ავალებს ისრაელთა მეფე საულს, რათა მან შური იძიოს ამალეკთა მომთაბარე ტომზე, რომლებიც ადრე ეგვიპტიდან ლტოლვილ ებრაელებს გზაში ესხმოდნენ თავს (სამოელის სიტყვები საულის მიმართ: „ესრეთ მრქუა უფალმან საბაოთ, აწ შური ვაგო, რომელი უქმნა ამალეკ ისრაელსა, რაჟამ შეემთხვია იგი გზასა ზედა აღმომავალთა მათ ეგვიპტიდან“, საული იმარჯვებს და ასრულებს (თუმცა არა ბოლომდე) ღვთის ნებას.

მაგრამ მკითხველი გაიხსენებს, რომ „დავითიანის“ ზემოთმოტანილ ტექსტში პოეტი ასახელებს ისოს და არა საულს, ხოლო ისოს ვინაობა საერთოდ არაა განმარტებული აღნიშნულ ცნობარში (აქ სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით მითითებულია მხოლოდ ბიბლიური წინასწარმეტყველი ისო ზირაქი, იხ. „მხიარული ზაფხული“, სტრ. 359, 360).

უნდა ვეფიქრა, რომ „ქართლის ჭირის“ ზემოთმოტანილ ეპიზოდში პოეტს რაღაც უნებლიე ცთომილება მოსვლია და საულის ნაცვლად მოუხსენებია ბიბლიის სხვა პერსონაჟი. მაგრამ ირკვევა, და სწორედ იმის გამო, რომ პოეტი შესანიშნავად იცნობდა საღმრთო წიგნებს, „დავითიანის“ ტექსტში აღნიშნულ ადგილას ყველაფერი რიგზეა. თავის პოეტურ შედარებაში, სადაც მოთარეშე ლეკების ლაშქარი მიმსგავსებულია ასევე ბიბლიის მტაცებელ ტომ ამალეკთან, იგი გულისხმობს ბიბლიის სრულიად სხვა ეპიზოდს. კერძოდ, ებრაელთა ისტორიის იმ პერიოდს, როცა მოსეს მეთაურობით ისინი ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყანაში მოილტვოდნენ. აი, სწორედ ასეთი შეჭირვების დროს ამალეკის ტომი თავს ესხმოდა ფარაონისაგან ლტოლვილ ისრაელთ, ამის გამო მოსემ იხმო ისუ, ძე ნავესი და მას დაავალა ამალეკთა ტომთან ბრძოლის მეთაურობა. აქ არის სწორედ ის ცნობილი ეპიზოდი, როცა მოსე ბორცვზე მდგარი ზეაწეული კვერთხით ღვთაებრივ ძალას განასახიერებს, ხოლო ისუ ძე ნავესი ისრაელთა რჩეული ვაჟკაცობით ამარცხებს მომხდურ ამალეკთა ჯარს (იხ. გამოსვლათა 17).

ამ შემთხვევაშიც დავით გურამიშვილის მიერ ასე მოხდენილად გამოყენებული მხატვრული შედარება, რომელიც სათავეს იღებს ძველი აღთქმიდან, ზუსტია და პირველწყაროთა ღრმა ცოდნას ემყარება.

როგორც ითქვა, სასულიერო მწერლობის, კერძოდ, კი სასულიერო პოეზიის აგრე რიგად გათავისებამ გაამდიდრა პოეტის სულიერი ძიებათა არე, ხოლო მისი პოეზიის გმირი ზნეობრიობის მაღალ კატეგორიებს აზიარა.

მაგრამ მეცნიერებაში გურამიშვილის შესახებ ისიც არის დასაბუთებული, რომ „ქართლის ჭირის“ ავტორმა ქართული სასულიერო ლექსის თვისობრივად განსხვავებულ სახესხვაობას დაუდო სათავე.

გურამიშვილმა სასულიერო ჰიმნებშიც ცოცხალი, ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა და სხვაგვარად ალბათ მოულოდნელიც იყო. გურამიშვილი უწინარეს იყო დიდი პოეტი და შვილი თავისი ქვეყნისა. მისმა პოეტურმა ალღომ საბოლოოდ გაიმარჯვა ღრმა სულიერ წინააღმდეგობებზე. ნაცვლად ქრისტიანულ-მისტიკური ჭვრეტისა და მარადიული სასუფევლის ოდენ უშფოთველი მოლოდინისა, იგი ცხოვრებისეული ცეცხლით იწვოდა. გურამიშვილმა ეს დიდი გულისტკივილი გაგვიმჟღავნა საკუთარი შვილებივით საყვარელ სიმღერებში, რომლებსაც მომავალში ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის მეგობრებად იგულვებდა.

2. მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...

დავით გურამიშვილის ლექსთა კრებული, რომელიც მოთავსებულია პოეტის ავტოგრაფულ ნუსხაში, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ზუსტად 1781-1787 წლებშია გასრულებული. ამავე ავტოგრაფული კრებულიდან ისიც ჩანს, რომ „დავითიანი“ — თავისი ძირითადი სახით უკვე ჩამოყალიბებული იყო 1774 წლისათვის. ავტოგრაფული ნუსხის ერთ-ერთ ბოლოში მოთავსებულ ლექსში „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“ პირდაპირ არის დასახელებული ამ, მართლაც, შემაჯამებელი ლექსის ზუსტი თარიღი 1774 წლის 29 ნოემბერი: „ვსთქვი წელსა ათას შვიდას — სამოცდა — თოთხმეტსა, თვესა ნოემბერსა, ოცდაცხრა გასულსა“, ეგევე წელია ნაჩვენები ლექსის „კაცისა და საწუთროს ცილობა“ დაწერის თარიღად.

ლექსებს კი პოეტი სიჭაბუკიდანვე წერდა და სხვაგვარად ალბათ შეუძლებელიცაა. მისი დიდი შთაგონება უშრეტი იყო, ხოლო პოეტური სათქმელი მშვილდივით მოზიდული. ერთ თავის საანდერძო ტიპის ლექსში იგი გვიმჟღავნებს, რომ მისი ბევრი ლექსი აქაიქ ნათქვამია და აწ გაფანტულ „ობლებს“ „დავითიანში“ მოვუყარე თავიო („ამ ლექსთ თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად“).

ვინ იცის რამდენი ასეთი „წყობილი მარგალიტი“ დაეფანტა პოეტს, როცა იგი „დავითიანში“ შეეცადა ერთ მძივად აესხა ათეული წლების ნაამაგარი.

დავით გურამიშვილს კი მაშინდელი საქართველოს განათლებულ წრეებში, რომელთა მეტი წილი სწორედ რუსეთში ვახტანგის კარზე იყო თავმოყრილი, ყველაფრიდან ჩანს, კარგად იცნობდნენ როგორც პოეტსა და განათლებულ პიროვნებას. სხვაგვარად ძნელად წარმოსადგენია, მისვლისთანავე პოეტს საკმაოდ მაღალი სახელო (თანამდებობა) ჯაბადარბაშობა მიუბოძეს და იარაღის საწყობები ჩააბარეს (უნდა გავიხსენოთ, რომ ამ დროიდან ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა სამხრეთისაკენ მომავალი დიდი ლაშქრობისათვის ემზადებოდა).

პოეტი იმასაც დასძენს, რომ ვახტანგის კარს მოსკოვში ჯერ კიდევ არ აკლდა ზარ-ზეიმი და „ზმა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“. რომ იგიც იღებდა ამ სალაღობო ტურნირებში მონაწილეობას და თავმდაბლურად შენიშნავს მისი ერთი ასეთი გამარჯვების გამო:

„ჭავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა, პირსა მჭლესა, ტანად ხმელსა ვით ნუკრიანს ხესა მრუდსა; რაც მე ვუთხარ მას მიაჩნდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა, ბევრჯელ ასე იმწვიტინის კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“.

ლიტერატურაში დავით გურამიშვილის თხზულებათა გარშემო შენიშნულია შემდეგი: პოეტის ზოგი ლექსი უეჭველად ადრევე უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ მათი ზუსტი დათარიღება ამჟამად არ ხერხდება. მაგალითად ადრევეა შექმნილი ლექსის „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა“ მოკლე ვარიანტი (აქაც ლექსი იწყება სიტყვებით: „გასაგონია, მგონია, რაც თქმულა სავარგონია...“), რომელიც, როგორც ალბათ ქართული ლექსის ერთი თავისებური სახეობა, მასვე თავისი ხელით მიუწერია მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკზე“. მინაწერი შესრულებული უნდა იყოს დაახლოებით მე-18 საუკუნის ოცდაათიან წლებში, როცა ორივენი ვახტანგის კარზე მოღვაწეობდნენ მოსკოვში (იხ. ხელნაწერი S — 1550, რომელიც ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ასევე ზოგი ლექსის სალაღობო-თავშესაქცევარი ტონი აშკარად ამხელს, რომ ბევრი მათგანი სწორედ ამავე ხანებში, კერძოდ, მოსკოვში ყოფნის დროს არის შექმნილი (იხ. ლექსები „ზმიანი შაირები“, „ამიცანად იგავი ასახსნელად ადვილი“ და ა. შ.).

მაგრამ ამასთან ვახტანგის, მისი ამალისა და თვით დავით გურამიშვილის გარშემო არსებული მასალებიდან ვიცით, ეს ხანა ე. ი. ოცდაათიანი წლები სხვადასხვა პერიპეტიებითაა აღსავსე. მოსკოვის ქართველობა ამ დროს ხან მოსკოვშია, ხან გზაზე, როცა ვახტანგი თავისი ქართული ლაშქრით სამხრეთისკენ დაიძრა, შემდეგ ისევ მოსკოვში. საბოლოოდ კი 1737 წლიდან (ამ დროს გარდაიცვალა ვახტანგი, იგი როგორც ცნობილია, დაკრძალეს ასტრახანს, სადაც გაატარა მეფე-პოეტმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი ულმობლო დღეები) მთელი ქართველობა, ვინც კი რუსეთში დარჩა, ისევ მოსკოვში იყრის თავს და მოკლე ხანში იღებს რუსეთის ქვეშევრდომობას. ასე შეიქმნა, სხვათაშორის, ქართველ ჰუსართა ასეული, ხოლო შემდეგ პოლკი, რომელშიც ქართველების ერთ ნაწილთან ერთად წლების მანძილზე იხდიდა მხედრის მძიმე მოვალეობას დავით გურამიშვილიც.

რუსეთში ყოფნის პირველი პერიოდი, კერძოდ, 1734 წლამდე, როცა ვახტანგის კარზე ჯერ კიდევ ფეთქავდა იმედი ხვალინდელი დღისა, როგორც ცნობილია, ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო შემოქმედებითი შრომისათვის და მსგავსი პოეტური ტურნირებიც, რომელსაც აგვიწერს დავით გურამიშვილი, სწორედ ამ ხანებში იმართებოდა.

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს გურამიშვილის ზემოთდასახელებული ლექსები, რომელთაგან ერთის დათარიღება, ჩემის აზრით, შესაძლებელია და თანაც ზედმიწევნითი სიზუსტით.

საქმე ეხება ერთსტროფიან, პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით ძალზე რთულ ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით „მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...“ და ეკუთვნის პოეტის მიერ შექმნილ „ზმიანი შაირების“ ციკლს (აქვე შევნიშნავ, რომ ძველ საქართველოში რუსეთის დედაქალაქი მეტწილად ამ ფორმით „მოსკო“ იხსენიება. იხ. სულხან-საბას ლექსიკონი, ვახტანგ მეექვსის „სიბრძნე მალალობელის“ ეპილოგი და ა. შ.).

რაც შეეხება თვით ამ ლექსს, რომელსაც მე ქვემოთ მოვიტან, მაჯამური რითმებითაა გამართული და გზადაგზა ზმებიც თვით ავტორის მიერაა გამოყოფილი სწორი ხაზებით. სიტყვათა ნაწილების შეერთებით ან გაყოფით „ზმებში“ აქ იკითხება სწორედ აღდგომისა და ხარების დღეებთან დაკავშირებული რიტუალური მნიშვნელობის სიტყვები:

„მოსკოს ქალაქს მზეს ვე (ლოდით), და ვერ განახეთ აქ (სუდარო)! სოლ (აღდგომა) გვირჩევნია, აქ სიცოცხლე გვაქვს (ს უდარო); კა (პას ქა) რ (სამჭვალი) ექრას, რას გვიშველი, ვთქვათ, (სუდარო)! შენ გაჰკურნე მწუ(ხარება) აღდგომავ და ქვავ-სუდარო!“.

როგორც ვხედავთ, აქ ხაზებს შორის იკითხება ლოდი, სუდარა, აღდგომა, პასქა, სამჭვალი (ლურსმანი) ხარება და ა. შ. რითაც მინიშნებაა ზემოთაღნიშნულ საეკლესიო დღესასწაულებზე.

მაგრამ ამასთან ლექსში გამოსჭვივის სხვა რეალიებიც, რომლებიც გამოხატავენ წუხილს რუსეთში შეყოვნების გამო, მაშინ, როცა მთელი ქართველობა სალაშქროდ მოისწრაფოდა კასპიისპირეთისაკენ, რაც საბოლოო ჯამში მათთვის სამშობლოში დაბრუნების ერთადერთი საშუალება იყო (შდრ. „სოლალ დგომა გვირჩევნია...“ სოლალი ციხე-სიმაგრე და დასაყრდენი პუნქტი იყო კასპიისპირეთში).

მაგრამ მაინც როდის დაიწერა ეს ლექსი? ამაზე შევძლებთ გავცეთ პასუხი, თუ დავაკვირდებით ამავე ლექსზე თვით ავტორის მინაწერს (იხ. ავტოგრაფი, აგრეთვე გამოცემები): „ერთს დღეს აღდგომაც იყო და ხარებობაც, დიალაც ციოდა მოსკოს და იმის მონასიბათ თქმული“.

როგორც ცნობილია, ხარებობა უძრავი დღესასწაულია და ძველი სტილით აღინიშნება 25 მარტს (სახარებით ამ დღეს გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა ნაზარეთში ქალწულ მარიამს და ამცნო: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ — იხ. ლუკა, 1, 28). ხოლო აღდგომა კი მოძრავი დღესასწაულია და იგი გაზაფხულზე აღინიშნება ასევე ძველი სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (იგი იანგარიშება გაზაფხულის ბუნიობის დღიდან და დაკავშირებულია მთვარის მოქცევასთან).

ამდენად, პერიოდულად ეს ორი დღესასწაული ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად, წელს იგი ერთი დღით უსწრებდა ხარებობას).

როგორც ზემოთაც ითქვა, გურამიშვილი 1730-იანი წლებიდან ვიდრე 1739 წლამდე დროგამოშვებით იმყოფებოდა მოსკოვში (შემდეგ კი იგი უკვე ქართველ ჰუსართა ასეულთან ერთად მონაწილეობს ყირიმის ომში). მაშასადამე, უნდა გავარკვიოთ თუ როდის დაემთხვა ამ წლებში ხარებობას აღდგომის დღესასწაული, და ნათელი შეიქმნება ლექსის დაწერის თარიღი. ამის დადგენა კი არც ისე ძნელია, თუმცა გურამიშვილის მკვლევართ აქამდე მისთვის ყურადღება რატომღაც არ მოუპყრიათ.

როგორც მუდმივი საეკლესიო კალენდრის მონაცემთა გაანგარიშებით ირკვევა ამ ხანებში, კერძოდ, მე-18 საუკუნის ოცდაათიან წლებში, ხარებობის დღესასწაული აღდგომისას დაემთხვა 1733 წლის 25 მარტს (ძვ. სტ.).

ლექსი, როგორც ითქვა, ექსპრომტს წარმოადგენს და მაშასადამე, იგი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როცა ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა მოსკოვში იმყოფებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ სალაშქრო ნიშანს. ამასვე მოწმობს, როგორც ითქვა, მაჯამის მეორე სტრიქონში ნათქვამი ფრაზაც: „სოლალს დგომა გვირჩევნია...“

ასეა თუ ისე ამჟამად ჩვენ უკვე ვიცით დიდი პოეტის მიერ ადრე დაწერილ ლექსთაგან ერთის ზუსტი თარიღი — 1733 წელი 25 მარტი (ძვ. სტ.).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩუტა გაგუა

ახალი ლექსები

ბინა მეცხრამეტე სართულზე

ცხადია თუ სიზმარია?
აივანზე წევხარ ოდის,
სადაც —
გახსოვს? —
გაზაფხულის
მზის ამოსვლას შეჰხაროდი.
ახლა ძილშიც კარგად ხედავ:
დედა ჭასთან ძროხას წველის,
ხოლო ძროხა იქვე დაბმულ
ხბოს დროდადრო ლოკავს ენით.
ბებო რეცხავს დახვავებულ
ბოთლებსა და მაწვნის ქილებს.
მამა ოქროს აჩხრიალებს —
ემზადება სანისქვილედ.
მდგარს მუხლამდე ბალახებში
თავზრუს ახვევს ნოყიერი
მინის სუნი —
და ჭიხვინებს
ცხენი, თითქოს დოღი ელის...
არაფერი არ შეცვლილა, —
შორიდან რომ შემოგცინის,
პატარძალი ტყემალია,
საქორწილოდ შემოსილი.
და ჭიშკართან,
ისევ ისე,
ვით ჰყვაოდა ჰყვავის ნუში.
მეზობელი მობრძანდება —
ძაღლს არ აგდებს აინუნში.
ის სიცილით აწვდის მამას
ახალ გაზეთს ტირაჟიანს...
„ზეციურო შემიბრალე
ცხადია თუ მირაჟია? —“
ჯერ ადგომას ვერ ვახერხებ,
იმეორებ:
„აი, ახლა
გადავიძრობ მამის ნაბადს,
დავრწმუნდები — დავინახავ.
მოზღვავდება —
დამაბრმავებს
ფერი მზის და ფერი ყანის,
და მამალიც პირს დააღებს
ფართოდ, როგორც პელიკანი...“
და შენ დგები: იკრიჭება
ძველებურად დრო — მელია...
„რომელია სინამდვილე,
ან სიზმარი რომელია?!“—
დგახარ ღია ფანჯარასთან
და მეოცე ასწლეულის
მეცხრამეტე სართულიდან
მოჩანს წითლად დარწეული
მიხაკები,
ტულიპები,
უცხოური, ჩვენებური,
ქვა-ბეტონის ცივ ქოთნებში
ბლომად აღმოცენებული.

საიდუმლო

გულის კუნჭულში რასაც ემალავდი,
მან წაიკითხა როგორც ბარათი,
და დაემგვანა ანწილ ღრუბელს;
შეკრთა, ცრემლებით აევსო უბე.
მე უცებ მივხვდი ღრუბელი იმის
ღრუბელი არის, გაგეეცლინთოს წვიმით;
არ საჭიროებს სიტყვიერ ახსნას:
ღრუბელი — წვიმა, ღრუბელი — თავსხმა,
და შემეშინდა — ეს დამღუპველი
ნეტა საიდან გაჩნდა ღრუბელი?
უმწეობიდან გაჩნდა, ეჭვიდან
ჩემსავე გულში — და შემეშინდა.
მზითა და ქარით შორს გასარეკი,
იმუქრებოდა უკვე წალეკვით —
არ მიტოვებდა იმედის ნამცეცს.
სიტყვა არ მითქვამს, თვალებმა გამცეს...

თავისუფალი ქართული ლექსი

თავისუფალი ამდენი ლექსი?
ქართული ლექსი?! ბიჭებო კმარა.
ყველაფრით — ნიჭით, ჯიგრით და ფესვით
ნაღდი ვინც არის, პატივს ვცემ ბესიკს,
ხარანაული რომ არის გვარად.

არიან სხვებიც. დიდება მათაც.
მაგრამ როდესაც უარვყოფთ რითმას,
ხომ არ ვღალატობთ ძველ წესს და ადათს,
აქამდე თავი მოგვქონდა რითაც...

ფარებჩალეწილ ავტომანქანას
მაგონებს ხოლმე ზოგის ლექსები,
კაპუეტ ღამით რომ გაგაქანებს
და რას, ვინ იცის, მიელეწები.

სული ღვთიური მუსიკით ვკვებოთ,
ბრმად ნუ ავყვებით ჟინსა და ვნებებს.
არ ვათქმევინოთ არავის, ძმებო,
როგორც იტყოდა პოეტი მეფე:

შესანიშნავად იცოდა რიდმა
თავისი საქმე. იყო ფლობერიც...
მე კი — მარგალიტს ვადარებ რითმას,
მარგალიტების ვინ ხართ მფლობელი?!

თოლიგე

ვაიმე, შვილო! ამას რას ეხედავ,
თოლიგე,
თოლიც დამევსოს შენს გამჩენ დედას,
თოლიგე!
უფალს, აქამდე რომ მაბოგინა,
გადავეჩეხე სჯობდა ბოგიდან,
თოლიგე.
არ გაიკარო გულში ნაღველი,
თოლიგე.
გადაივიწყე იმის სახელიც,
თოლიგე,
გზაც ჯანდაბამდე ჰქონია დიაცს,
წასულს სხვისასა ეშმაკმა სდია,
თოლიგე.
ერთი წუთითაც არ ითაკილო,
თოლიგე,
ისეთი ცირა ვიცი თაგილონს,
თოლიგე,
მთლად ზისნახეა. საბრალო ხვიჩას,
რომ დადიოდა სოფელში ყინჩად,
ერთხელ უნახავს მავალი დოქით,
და დასაბმელი შექმნილა თოკით,
თოლიგე,
მაგრამ დალოცვილს უთქვამს აშკარად,
რომც მომიყვანოთ მთელი ლაშქარი,
ყოჩას გავყვები, მამაცს და ყოჩაღს,
ამგვარად უთქვამს, ჰო, ჩემო კოჩავ,
თოლიგე.
მაგრამ, ვაი, რომ უყვარს ახვარი
თოლიგეს,
იმას ვერავინ გადააყვარებს
თოლიგეს.
და მაინც ზოგჯერ, მზე როცა ჩავა,
ათასში ერთხელ, ჟამიდან ჟამად,
გაუბრწყინდება თვალები ლურჯი
თოლიგეს —
სიმღერასავით ჩაესმის ყურში
თოლიგეს:
მე შენზე ვფიქრობ და გელოდები,
შენი ერთგული თაგილონელი,
თოლიგე...
და ტირის დედა: გვქონია ბედი,
არა მინდა რა ამაზე მეტი,
თოლიგე.
არ დამიჩაგრო, დარდო პირშავო,
თოლიგე.
მგონი ბალანა გადამირჩაო,
თოლიგე.

ეთნოგრაფიული ექსკურსიები ლეჩხუმსა და სვანეთში

ამჟამად, როცა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მძლავრად იჭრება ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამუდამოდ იკარგება ხალხის ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ზოგიერთი მასალა, ე. ი. ჩვენი ისტორიის ნაწილი. რა თქმა უნდა, ძველებურად ცხოვრება დღეს წარმოუდგენელია, მაგრამ ისტორიის შესწავლა და დღევანდელობის სამსახურში ჩაყენება აუცილებელი საქმეა, ეს შეადგენდა მუდამ ქართველი მეცნიერების საზრუნავს, და დარგობრივი პროფილის ექსპედიციები დიდი ხანია სწავლობენ საქართველოს მთაბარს...

უკვე მეორე წელია ნაკლებად გამოკვლეული ლეჩხუმის შესწავლას აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ექსპედიცია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ჯალაბაძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრებმა მრავალი საინტერესო მასალა მოიძიეს. წელს მუშაობა გაიშალა როგორც ახალი მონაცემების მოსაპოვებლად, ისე მოპოვებულთა შესავსებად და დასაზუსტებლად. მასალები შეკრებილი იქნა საკვლევი რაიონის 40-დე სოფელში.

ლეჩხუმის მიწა მრავალ ისტორიულ ნაშთს ინახავს, შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს განძები დასტურია მეტალურგიის განვითარებისა; მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ანტიკური, ადრეფეოდალური და გვიანფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეები, შენობის მაღალ კულტურაზე მიუთითებენ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რომელთა შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი“, ლეჩხუმური კარ-მიდამო მოწყობილია ქართული ტრადიციის მიხედვით, თავისი კოპწია სათავსოებით ზოგიერთი მათგანი თეატრის დეკორაციას მოგაგონებთ, ოღონდ მასში ცხოვრება დუღს, კვლავაც გრძელდება მრავალჭირგადანახადი ქართული სულის სიცოცხლე.

გაგაოცებთ ლეჩხუმში გავრცელებული სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნება, ძველი დროიდან რომ უშენებ-უჯვარებიათ, იქნება ეს პურეული — მახა, ზანდური, იფქლი, ხულუგო, დიკა, ქერი, თავთუხი, ურუში, ოსპი, ღომი, თუ ვაზის ჯიშები—ალექსანდროული, უსახელაური, ბუდეშური, თითა, კრახუნა, ცოლიკოური, მწვანე კუნვა, ოჩხამური, ციცქა, გაბაშა, დუღვაბო, ოხტოური, ყორნისთვალა, თბილური, მტევანგრძელი, შავჩოხია, ნაშარი ცხენის ძუძუ, ძველშავი და სხვ.

ლეჩხუმში შეხვდებით სამეურნეო დანიშნულების ისეთ ნაგებობას, როგორიცაა გვიმიანი წისქვილი, — საზრიანობისა და ეკონომიურობის შესანიშნავი მაგალითი. აქვე ჯერ კიდევ შემორჩენილა დღეს სანატრელი მშვენიერი ქართული სახელები: ნასყიდა, სადალო, სისონა, საყვარელა, აღდგომელა, ქუჩუკი, საჩინო, ტაია, ფინთიხო, ჯიმურა, სევდია, თათია, საბედა, ვარდიკონა, თუთია, თინო და სხვა.

მდიდარია ლეჩხუმი პოეზიით, ზეპირსიტყვიერი მასალით, გადმოცემებით, ლეგენდებით. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით საბერძნეთიდან ლტოლვილ, ქრისტიანობისათვის თავდადებულ მოღვაწე მაქსიმე აღმსარებელს მურის ეკლესიაზე უპოვნია სამუდამო განსასვენებელი, და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1914 წ. ნ. მარს სინოდის დავალებით უნდა დაეწყო მურის არქეოლოგიური შესწავლა. მეცნიერს ამ საქმის შესრულებაში ომმა შეუშალა ხელი, ხოლო შემდეგ, დროთა ვითარებაში, ეკლესია დაინგრა, სასაფლაო მოიშალა და შეირყვნა.

ლეჩხუმის ღირსშესანიშნაობათა ჩამოთვლისათვის უთუოდ არ იკმარებდა დღევანდელი საგაზეთო სტატია, ეს იმ მეცნიერთა საქმეა, რომლებიც სათანადო ცოდნით აღჭურვილნი აღწერენ დასავიწყებლად განწირულ ადათ-წესებს, კარგად უნდა ჩაუკვირდნენ მის ძირსა და ფესვს და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მყარი ნიადაგი შეუქმნან იმას, რაც ხვალ შეიძლება სადაოდ იქნეს მიჩნეული. დანგრევისა და დავიწყების პირას კი აქ ბევრი რამ არის მისული, ესაა მიტოვებული სოფლები, ჭინჭრით შემოსილი ეული ბუხრები და კიბეები. ნაეზოვარში დაბეჩავებული ხეხილი, ყველაფერი ეს გულისტკივილს აღგიძრავთ,

ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციამ წარმატებით გაართვა თუ არა თავი დასახულ ამოცანას, ამას მკითხველი მალე შეიტყობს ლეჩხუმისადმი მიძღვნილი საგანგებო კრებულით, სადაც, ეჭვგარეშეა, უფრო სრულად იქნება წარმოდგენილი ყველაფერი ის, რასაც ჩვენ მხოლოდ მინიშნებით შევეხეთ; მკითხველს მხოლოდ შევახსენებ, რომ თემები კონკრეტული სახისა იქნება და შეეხებიან სოფლის მეურნეობას (გ. ჯალაბაძე), შრომის ორგანიზაციის ფორმებს (თ. გელაძე), ლეჩხუმურ ჩაცმულობას (ც. ბეზარაშვილი), ხალხური ფეიქრობისა და მღებრობის წესებს (ლ. მოლოდინი), წყლის კულტს (მ. მაკალათია), რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს (მ. ნადარაია), ქვის დამუშავების ხალხურ წესებს (ე. ნადირაძე), მიცვალებულის კულტს (ნ. ქაჯაია) და სხვ.

ეთნოგრაფიის განყოფილების მეორე სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჩართოლანი, აგერ უკვე 7 სეზონის განმავლობაში აგროვებს მასალებს ზემო და ქვემო სვანეთში, მართალია, მასალების შეგროვება სეზონურად წარმოებს, მაგრამ შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ხდება ამ მასალის დამუშავება და მეცნიერული შესწავლა, რამაც ასახვა ჰპოვა კრებულებში „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, „სვანეთი I“, და „სვანეთი II“, ექსპედიციის მიერ აღრიცხული იქნა სვანეთის სიძველეებში მოთავსებული ნივთიერი კულტურის ძეგლები, სულ 9 000 ერთეული, მათ შორისაა განსაკუთრებული მნიშვნელობის ხატები, ჯვრები და ძველი ხელნაწერები, რომელთა საერთო რაოდენობამ 600-ს გადააჭარბა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ფერწერული ხატების მიკვლევა, რომელთა რესტავრაციამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო ძველი ქართული ხატმწერლობის მაღალპროფესიულობა.

ფეოდალური ხანის ნივთიერი მასალა — ხატები და ჯვრების უმეტესობა განეკუთვნება X-XIV საუკუნეებს, ძალზე საინტერესო მიკვლევად უნდა ჩაითვალოს გათლილი ხის წახნაგოვან ჯოხებზე მხედრულით შესრულებული საერო ხასიათის წარწერები — სოფლებს შორის საურთიერთო ხელშეკრულებები და ასახავს XIII-XIV ს.ს. სვანეთის სოციალური ყოფის ერთ მომენტს. ეთნოგრაფიულად საინტერესო მასალას წარმოადგენს მოსახლეობისაგან ეკლესიისათვის შენაწირი ნივთები: სამეურნეო, საბრძოლო, სანადირო, საყოფაცხოვრებო და აგრეთვე ქალისა და კაცის სამკაულები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ამა თუ იმ კულტურის ელემენტის გენეზისის დადგენისათვის, მიმდინარე წელს ექსპედიცია მუშაობას აგრძელებდა ლენტეხის რაიონში, სადაც ძველ საკულტო-საეკლესიო ნაგებობებში აღრიცხული იქნა 2.000-მდე ნივთი. საინტერესო იყო 24-მეტრიანი რკინისა და სპილენძის საბადოს გვირაბის აღმოჩენა, რაც მიუთითებს მეტალურგიული კერის არსებობაზე ძველ დროში. როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა მიხეილ ჩართოლანმა აღნიშნა, ამგვარი მასალებისა და სხვა ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სვანეთის მაღალმთიანი დასახლება გამოიწვია არა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ, როგორც აქამდე ვფიქრობდით, არამედ მეტალურგიული კერების აღმოჩენამ ბარის მოსახლეობის მიერ, რომლებიც რკინა-ბრინჯაოს ნაწარმზე ფართო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აქვე დასახლდნენ და მეურნეობის სხვა დარგების პარალელურად ინტენსიურად მოჰკიდეს ხელი ლითონწარმოებას, სწორედ ამ პროცესის დამთავრების შემდეგ იწყება სვანთა ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბება. აქ გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს აგრეთვე ტოპონიმიური და ენათმეცნიერული კვლევა-ძიება და სვანურ ენასა და ყოფაში შემონახული არქაული კულტურის ბევრი ელემენტის შემორჩენა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია მომავალში კვლავაც აპირებს ამ მიმართებით გააგრძელოს მუშაობა და ეჭვგარეშეა, რომ ექსპედიციები საინტერესო მასალებს მოიძიებენ. ვსარგებლობ შემთხვევით და მთელი ეთნოგრაფიის განყოფილების სახელით დიდ მადლობას მოვახსენებთ მესტიის, ლენტეხისა და ცაგერის რაიონის ხელმძღვანელობას იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც გამოიჩინეს ექსპედიციის ნორმალური მუშაობის წარმართვისათვის. გაივლის ცოტა ხანი და ქართველი მკითხველი მიიღებს ნაშრომებს, სადაც ასახული იქნება ამ მხარეთა ეთნოგრაფიული ყოფა. გავა წლები, ამ ნაშრომებში თავმოყრილი მასალები ძვირფასი წყარო შეიქმნება საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ყველა პირისათვის და ეჭვგარეშეა, მომავალი თაობისათვის იგი იქნება თავისებური მეგზური სვანეთ-ლეჩხუმის ისტორიისა და მისი გარდასული ყოფა-ცხოვრების გასაცნობად.

ელდარ ნადირაძე
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი.

„ცისკარი“ № 9

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მორიგი მეცხრე ნომერი, რომელიც იხსნება მოწინავე წერილით — „დიადი მოვლენის მოლოდინში“.

„ახალი სახელები“ — ამ რუბრიკით დაბეჭდილია გიგი სულაკაურის ლექსები. პოეზიის განყოფილება აგრეთვე ბეჭდავს ლია სტურუას, მირანგულ ავსაჯანიშვილის, მურმან ჯგუბურიას, მამუკა წიკლაურის, დავით ნაკაიძისა და ირინე ტალიაშვილის ლექსებს.

პროზის განყოფილება გთავაზობთ ოტია იოსელიანის მოთხრობებს, გოდერძი ჭეიშვილის რომანს— „ზოგი რამ ფიქრიანი კაცის ცხოვრებიდან“, ნუგზარ წერეთლის „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებს“ (გაგრძელება).

ზურაბ კუხიანიძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. პოეტს ულოცავენ მურმან ლებანიძე, ოთარ მამფორია და მიხეილ ქვლივიძე. აქვეა სოლომონ დემურხანაშვილისა და სოლომონ სამხარაულის ნარკვევი „ცხვარი და მეცხვარე“; მაყვალა გონაშვილის ნარკვევი „იტყვის: სოფელი დიდია“. აქვეა რევაზ თვარაძის, დარეჯან კლდიაშვილის და გიგლა სარიშვილის, ოტია პაჭკორიას, ქეთევან ჯაფარიძის, რევაზ ჯაფარიძის და გურამ ფანჯიკიძის წერილები.

„დიადი მემკვიდრეობის“ რუბრიკით დაბეჭდილია ალექსანდრე პუშკინის „წერილები“.

„განთიადი“ № 4

გამოვიდა ალმანახ „განთიადის“ მე-4 ნომერი. ალმანახი იხსნება არჩილ ფირცხალავას ნარკვევით „ალექსანდრე ოლეინიკოვი“. მკითხველი გაეცნობა ვახტანგ ჯავახაძის, მედეა კახიძის, რუთა ბეროძის, ლილი ნუცუბიძის, მერი ბარნაბიშვილის, დოდო ჭუმბურიძის, დალი სვანიძის და სხვათა ახალ ლექსებს.

ალმანახი განაგრძობს ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ და ჯანსუღ ღვინჯილიას ისტორიული ნარკვევის „გიორგი სააკაძის პიროვნების“ ბეჭდვას.

„განთიადის“ ამ ნომერში მკითხველი წაიკითხავს ნუგზარ შატაიძის მოთხრობას „თეთრი ფრინველი“, ახალ თარგმანებს, წერილებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

„ჭოროხი“ № 5

გამოვიდა ჟურნალ „ჭოროხის“ მეხუთე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია საუბარი საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის პირველ მდივანთან ბონდო ქაჯაიასთან.

„ჭოროხის“ ამ ნომერში პოეზია წარმოდგენილია ლაზი პოეტისა და მხატვრის ხასან ჰელიამის, ნანა გვარიშვილის, ამირან ხაბაზის, დავით ხუროძის, ომზირ ღლონტის, ანზორ ლორთქიფანიძის ლექსებით, უილიამ შექსპირის „ჰენრი მერვეს“ პროლოგი ინგლისურიდან თარგმნა თამუნა ჯაფარიძემ.

„ჭოროხის“ ამ ნომერში მთავრდება სულიკო ჟღენტისა და რეზო ჩხეიძის „რაიკომის მდივნის“ კინოსცენარის ბეჭდვა, მკითხველი გაეცნობა ლევან სანიკიძის, რევაზ გორგაძის, ნესტორ მალაზონიას, ნოდარ მოდებაძის, შოთა ასანიშვილის, ილია რურუას, რამაზ სურმანიძის, იოსებ ბექირიშვილის, იური სიხარულიძის, იური ხერხეულიძის, დავით კობახიძის, ლადო შერვაშიძის მოთხრობებს, წერილებს, ნარკვევებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ ლევან ხაინდრავას დედის

მარია ალექსანდრეს ასული ხაინდრავას

გარდაცვალების გამო

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მუშნი ლასურიას დედის

დუშნა მაცის ასული ტაბაღუა-ლასურიას

გარდაცვალების გამო

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 10 11 12 13 14 15 16 17.
უე 02425